საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

შაბათი-კვირა, 15-16 ივნისი. 2019 წ. №120 (8786) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ვემიჯნებით ძალადობას, ვაცნობიერებთ დიდ საშიშროებას, რაც შეიძლება გეი-პარადს მოჰყვეს!

საქართველოს საპატრიარქო „თბილისი პრაიდთან“ დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და ხელისუფლებას მიმართავს.

„როგორც ცნობილი გახდა, ა.წ. 18-23 ივნისს სურთ, ამიერკავკასიაში პირველად ჩაატარონ ე.წ. გეი-პრაიდი თბილისში, რაც ყოვლად მიუღებლად მიგვაჩნია.

ცხოვრების წესი, რომლსაც LGBT პირები ეწევიან, სოდომურ ცოდვას წარმოადგენს და ამდენად ეწინააღმდეგება როგორც ქრისტიანულ სარწმუნოებას და ტრადიციული რელიგიების მოძღვრებებს, ისე ზოგადად მორალურ ღირებულებებს.

ხაზს ვუსვამთ, რომ ეკლესია ემიჯნება ცოდვას, მაგრამ არა მონანულ ცოდვილს, რომელსაც სიყვარულით იწყნარებს და ეხმარება ღმერთთან დაბრუნებაში.

სამწუხაროდ, LGBT გარკვეული ჯგუფები და მათი მხარდამჭერები უცხო ქვეყნებს ისე აწვდიან ინფორმაციას, თითქოს საქართველოში ისინი დიდად შევიწროებულნი და დევნილნი არიან და ამ მოტივით სერიოზულ დაფინანსებას იღებენ. მათ სურთ, თავისი აქტივობა ისე წარმოაჩინონ, როგორც დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა, სინამდვილეში კი ეწევიან თავისი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და პროპაგანდას და მისი ოფიციალურად დაკანონება აქვთ განზრახული.

როდესაც მცირე ჯგუფი ცდილობს, თავისი პოზიცია თავს მოახვიოს მთელ მოსახლეობას, ეს, თავისთავად, იწვევს მკვეთრ უკურეაქციას, ვინაიდან წარმოადგენს მიზანმიმართულ ქმედებას, უმრავლესობის ღირსების შეურაცხყოფას, მათ არჩევანზე ძალადობას და ამდენად არის მაპროვოცირებელი არეულობისა და დაპირისპირებისა.

ჩვენ ვემიჯნებით ყოველგვარ ძალადობას და ამავე დროს ვაცნობიერებთ რა დიდ საშიშროებას, რომელიც შეიძლება ე. წ. გეი-პრაიდის ჩატარებას მოჰყვეს, მოვუწოდებთ ხელისუფლებას, არ დაუშვან აღნიშნული ღონისძიება, რომელიც წინასწარვე არის ცნობილი, რომ გამოიწვევს საზოგადოებრივ შფოთს.

ასევე მოვუწოდებთ და ვთხოვთ საქართველოში აკრედიტებულ სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, სახალხო დამცველს და სხვა ინსტიტუციებს, რათა გამოიჩინონ უფრო ფრთხილი დამოკიდებულება ქართველი ხალხისათვის ამ მეტად მგრძნობიარე საკითხისადმი და ნუ წაახალისებენ ჩვენს ქვეყანაში მსგავს აქტივობებს; ამით ისინი ხელს შეუწყობენ სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნებას და გამოხატავენ ჩვენი მოსახლეობისადმი პატივისცემასა და მხარდაჭერას“ – აღნიშნულია განცხადებაში.

ისევ თავის დროზე მიტაცებული „რუსთავი-2“-ის თაობაზე

რადიო „თავისუფლებამ“ გუშინ გაავრცელა სამაუწყებლო კომპანიის „რუსთავი-2“-ის დაზარებულად ცნობილი დამფუძნებლების **დავით დვალისა** და **ჯარჯი აქიმიძის** ერთობლივი მიმართვა.

ცნობილი ამბავია და დამფუძნებლებიც ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ 2004 წელს ხელისუფლებაში „რევოლუციურად“ მოსულმა „ნაციონალურმა მოძრაობის“ მთავრობამ ყაჩაღურად გამოსძალა „რუსთავი-2“ კომპანიის დამფუძნებლებს და კანონიერ მფლობელებს. ჩადენილი დანაშაულიდან 15 წელიწადი გადის, რაც იმას ნიშნავს, რომ იწურება საქმის ხანდაზმულობის ვადა, რის შემდეგაც ისინი ველარ შეძლებენ სამართლებრივი გზით სიმართლის დამტკიცებას. დაზარალებულთა მოთხოვნაა გამოძიების ვადის გაგრძელება.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს მართლმსაჯულების სამივე ინსტანციამ კომპანია „რუსთავი-2“ საბოლოო კუთვნილებაში გადასცა არხის შემდგომ მესაკუთრეს ქიბარ ხალვაშს (იმავე პერიოდში სამივე დაზარალებული ერთ ჯგუფად შეიკრა და ერთად ითხოვდნენ სამართლიანობის აღდგენას!).

მაგრამ მოხდა გაუგონარი რამ. უკვე კანონიერი მეპატრონისთვის გადაცემული კომპანია „რუსთავი-2“-ის არხის ნაციონალურმა ხელმძღვანელობამ საკითხი მყისიერად სტრასბურგის ევროპის სასამართლოს გადასცა და უკვე სამ წელიწადზე მეტია, სტრასბურგიდან არც „ჰო“ ისმის და არც „არა“.

უგულებელყოფა იქით იყოს, განა ეს სტრასბურგის მხრიდან სუვერენული, დემოკრატიული ქვეყნის უმაღლესი მართლმსაჯულების მასხრად აგდება არ არის?!

ნუთუ ასეთი საშიში ბუა ორგანოა ეს სტრასბურგის ეგრეთ წოდებული საერთაშორისო სასამართლო, რომ სამართლიანობის სასარგებლოდ ერთ-ორი მართალი სიტყვა ვერ ამოვაღერლინოთ?!

სწორედ სტრასბურგის უსამართლო მართლმსაჯულების გამო დარჩა ჯოჯოხეთის მაშხალა გვარამიას ბურთი და მოედანი!

ნეტავი როდემდის უნდა ვიგინგლებოდეთ „ცრუსთავი-2“-ის საკანალიზაციო არხიდან ათასგვარი სიბილწისა და სიბინძურის მყრალი ნიაღვრით?!

პატრიარქმა კახა კალაძის შვილები მონათლა

14 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ქალაქ თბილისის მერი კახა კალაძე და მისი ოჯახის წევრები მიიღო. გუშინვე მოინათლნენ ბ-ნ კახას უმცროსი შვილები და მათი ნათლია მისი უწმინდესობა გახდა.

გრიგორი კარასინი: საქართველოსთვის არა მხოლოდ საგანგაშო, არამედ დამღუპველიც!

③

სოსო ცინცაძე: გაბრაზებული ადამიანები ვერავინ გამოიყვანა სამზარეულოდან!..

⑤

ივანიშვილი 270 მილიონი დოლარით გამდიდრდა...

ახალი მონაცემები ბლუმბერგის მილიარდერების ინდექსიდან ხდება ცნობილი. 2019 წლის პირველ იანვარს მისი ქონება 5 მილარდ დოლარს შეადგენდა, 13 ივნისის მონაცემებით კი 5.27 მილიარდია. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე და საქართველოს ექსპრემიერი მილიარდერების სიაში 352-ე ადგილს იკავებს.

სასაზღვრო პოლიციას კავშირგაბმულობისა და სასაზღვრო ინციდენტების აღმოჩენის თანამედროვე აღჭურვილობა გადაეცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ ევროკავშირის ფინანსური დახმარებით კავშირგაბმულობისა და სასაზღვრო ინციდენტების აღმოჩენის თანამედროვე აღჭურვილობა გადასცა.

აღჭურვილობის გადაცემის ცერემონია შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიმართა. ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს სასაზღვრო პოლიციის უფროსმა თემურ კეკელიძემ, საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს მისიის ხელმძღვანელმა სანია ჩელებიჩ ლუკოვაცმა. თემურ კეკელიძემ სასაზღვრო პოლიციაში მიმდინარე რეფორმებსა და უსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით ევროკავშირთან არსებულ წარმატებულ თანამშრომლობაზე ისაუბრა. მან ევროკავშირის წარმომადგენლებს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა. ღონისძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს, ევროკავშირისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.

სტრასბურგის სასამართლოში საჩივრები 75 პროცენტზე მეტითაა შემცირებული

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ 2018 წლის ანგარიში მოისმინეს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობაზე ანგარიში კომიტეტზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გოჩა ლორთქიფანიძემ წარადგინა.

როგორც გოჩა ლორთქიფანიძემ აღნიშნა, საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობა გაუმჯობესებულია. ადგილობრივი ინსტიტუტებისადმი, მათ შორის სასამართლოს მიმართ მოქალაქეების ნდობა გაიზარდა.

„ეს არის საპარლამენტო ანგარიშგების მექანიზმი. უკვე მესამედ წარვადგინეთ ანგარიში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ დინამიკა არის პოზიტიური, რადგან 2013 წლის შემდეგ მინისტრთა კომიტეტის მექანიზმის ქვეშ 76 საქმეა, ამ 76 საქმიდან არის 85 პროცენტი შესრულებული და თითქმის ყველა საქმე არის 2012 წლამდე. ამ საპარლამენტო ანგარიშგების მექანიზმს მინისტრთა კომიტეტიც მიესალმა. როგორც პოზიტიურ გამოცდილებას სახელმწიფოების მხრიდან. ეს არის მნიშვნელოვანი“, — განცხადა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ. ლორთქიფანიძის თქმით, სტრასბურგში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების რაოდენობა 75 პროცენტზე მეტითაა შემცირებული.

ბორდოელი მეღვინეები ღვინის სამშობლოს სტუმრობენ

„საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანი კონფერენცია ტარდება, რომელშიც მონაწილეობას ქართველი და საფრანგეთის ბორდოს რეგიონის მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულების სამეცნიერო და ბიზნესწრეების წარმომადგენლები იღებენ. ბორდოს რეგიონი თანამედროვე მეღვინეობის მსოფლიო ცენტრია და, შესაბამისად, დელეგაციის ვიზიტს და ერთობლივ კონფერენციას მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს“, — განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა VINITECH-ის ინოვაციური ტურის ფარგლებში გამართულ კონფერენციაზე „თქვენს საქმიანობაზე მორგებული ფრანგული გამოცდილება და ინოვაცია“.

ლევან დავითაშვილმა სახელმწიფოს თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად საქართველოს მიერ ღვინის წარმოების და ექსპორტის კუთხით მიღწეულ შედეგებზე ისაუბრა და ყურადღება თანამედროვე ტექნოლოგიებით ახალი ვენახების გაშენებისა და სამეცნიერო კვლევის მნიშვნელობაზე გაამახვილა.

„მოგეხსენებათ, საქართველო ღვინის სამშობლოა, ღვინის წარმოების უძველესი კერაა, შესაბამისად, ის ძალიან საინტერესოა ბევრი მკვლევარისა და მეცნიერისთვის. ბორდოს რეგიონი პირველად აწყობს გასვლით ტურს და სიმბოლურია, რომ პირველი სწორედ საქართველოა. მათთვის საინტერესოა ყველაზე დიდი ტრადიციების მქონე ქვეყანაში ინოვაციების ჩამოტანა. ბორდო თანამედროვე მეღვინეობის ცენტრია, ლიდერია მეღვინეობაში ინოვაციების და ტექნოლოგიების კუთხით; ამდენად, მათთან თანამშრომლობა ჩვენთვის პრიორიტეტულია“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

კონფერენციას ქართველი და ფრანგი მევენახეობა-მეღვინეობის დარგის სამეცნიერო და ბიზნესწრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ჩხოროწყუში დაფნის გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხოროწყუში დაფნის გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნა, რისთვისაც 127 000 ლარის ინვესტიცია განხორციელდა და 10 სამუშაო ადგილი შეიქმნა.

ახალი საწარმო სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით გაიხსნა. პროექტის ფარგლებში შპს „ჯუმითი-2014“-ს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან ქვედა ჩხოროწყუში მდებარე 4 558 კვ.მ. ცარიელი მიწის ნაკვეთი 1 ლარად გადაეცა. საწარმო წლიურად 90 ტონა გამომშრალ დაფნას აწარმოებს და პროდუქცია ადგილობრივი ბაზრისთვის არის გათვლილი.

კახეთში ქერის მოსავლის აღება მიმდინარეობს

კახეთის რეგიონში ქერის მოსავლის აღება აქტიურ ფაზაში შედის. სამუშაოებს შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“ ახორციელებს.

ქერის მოსავლის აღების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, შირაქის ველის მიმდებარე ტერიტორიაზე. 1200 ჰა ფართობზე სამუშაოებს შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის“ 4 ერთეული კომბაინი ახორციელებს. მოსავლის აღების პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით კახეთის რეგიონში კომპანიის დედოფლისწყაროს სერვისცენტრში 48 ერთეული კომბაინია მობილიზებული. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული ტექნიკა სრულად ჩაერთვება მიმდინარე სამუშაოებში. შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“ მიწათმოსარგებლეებს მოსავლის აღების გარდა, მთელი საქართველოს მასშტაბით, 80-მდე სხვადასხვა აგროოპერაციას სთავაზობს.

როგორ შეხვდნენ ნაყინის კომპანიები ზაფხულის სეზონს

„კონკურენცია გაიზარდა ნაყინის ბაზარზე, რადგან გარდა ქართველი მწარმოებლებისა, საქართველოში მასიურად შემოვიდა უცხოური მწარმოებლების პროდუქცია,“ — რა ხდება ნაყინის ბაზარზე და როგორ ხვდებიან ქართული კომპანიები ზაფხულის სეზონს, ამასთან დაკავშირებით „კომერსანტი“ ქართულ ნაყინის მწარმოებელ კომპანიებს დაუკავშირდა.

ზაფხულის სეზონის შემოსვლასთან ერთად მოსახლეობა სეზონის ყველაზე აქტუალური პროდუქტის, ნაყინის ბაზარზე სიახლეებს ელოდება. ნაყინის მწარმოებელი კომპანიები მძლავრი კონკურენციის პირობებში ახალი გემოების შეთავაზებასა და სხვადასხვა აქტივობებზე აკეთებენ აქცენტს.

„აისი-გურჯაანის“ ნაყინი 51 წელია, რაც ქართულ ბაზარზეა. დღეისათვის იგი ქართველ მომხმარებელს 30 სახეობის ნაყინს სთავაზობს, მათ შორის არის პირველი ნაყინი ე.წ. ჭიქურა.

„დაახლოებით ერთ თვეში გამოვუშვებთ ახალ ნაყინს „კორნეტოს“ სახით, სამარხვო ნაყინების გაკეთებასაც ვაპირებთ და ხილის ნაყინზეც ვმუშაობთ. რაც შეეხება კონკურენციას საქართველოში ნაყინზე საკმაოდ ძლიერი კონკურენციაა, მაგრამ ჩვენ ვუძლებთ ამ ყველაფერს,“ — აცხადებს „კომერსანტთან“ ინტერვიუში შპს „აისი-გურჯაანის ნაყინის“ გენერალური დირექტორი გურამ ბერიკაშვილი.

რაც შეეხება ნაყინის მწარმოებელ კიდევ ერთ ქართულ კომპანია „ბარამბოს“, მათი შეფასებით სეზონი აქტიურია და გაყიდვების კუთხით ქართული კომპანიები კვლავინდებურად ლიდერობენ.

„წელს ჩვენი სიახლე საოჯახო სახეობის ხილის ნაყინია ცოცხალი ხილით. ამასთანავე კონუსის ხაზს დავამატეთ ახალი მარილიანი კარამელი მიწის თხილით, რომელიც უცხოა საქართველოს ბაზრისთვის. ვაკეთებთ ზაფხულის ფესტივალს „ზედაზენთან“ ერთად, რომელმაც სტარტი 8 ივნისს რუსთავში აიღო და ყოველ შაბათ-კვირას მოვივლით სხვადასხვა რეგიონებს, — ამბობს „ბარამბოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი თაკო ნიბლაძე.

გარდა ქართველი მწარმოებლებისა, ბაზარზე მასიურად შემოდის სხვადასხვა უცხოური მწარმოებლის პროდუქცია. საქართველოს სუპერმარკეტებში დღეს შეხვდებით იტალიურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ, უკრაინულ და სხვა ქვეყნების ნაყინს, თუმცა როგორც ადგილობრივი მწარმოებლები აღნიშნავენ, არსებით კონკურენციას მაინც ვერ უწევენ ქართულ ნაყინს, მიზეზი კი ფასთა სხვაობაა. უცხოური ნაყინის ფასი 2 ლარიდან და ზევით არის, ქართული ნაყინის ფასი კი 50 თეთრიდან იწყება.

„ბარამბოს“ ნაყინის წარმოების კუთხით საქართველოს ბაზრის 35 პროცენტი გვიჭირავს. გაყიდვა არ შემცირებულა და ყოველ წელს იზრდება. უცხოური ნაყინი ფასის გამო დიდ კონკურენციას ვერ გვიწევს. წელს სეზონი ძალიან აქტიურად დაიწყო,“ — აცხადებს „ბარამბოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი თაკო ნიბლაძე.

მარიამ მორგოშია

გრიგორი კარასინი:

...არა მხოლოდ საგანგაშო, არამედ დამღუპველიც!

რუსეთი შეშფოთებულია საქართველოს ნატოში დაჩქარებული გაწევრების პერსპექტივით

13 ივნისს პრაღაში გაიმართა აბაშიძე-კარასინის შეხვედრის მორიგი რაუნდი, რომელზეც სავაჭრო-ეკონომიკური, სატრანსპორტო, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის პრობლემები განიხილეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ შეხვედრის ფორმატი არ ითვალისწინებს პოლიტიკური საკითხების განხილვას, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ შეხვედრის დაწყებამდე პრაღის სასტუმრო „დიპლომატში“ რადიო თავისუფლებასთან რამდენიმე მწვავე პოლიტიკური შინაარსის განცხადება გააკეთა.

გრიგორი კარასინი: ჩვენ, არსებითად, ერთობლივად შევაჯამებთ წლის პირველი ნახევრის შედეგებს. რაღაცის გაკეთება შევძელით. ვითარდება ვაჭრობა, რუსეთის ფედერაციიდან ბევრი ტურისტი სტუმრობს საქართველოს. იმ ტემპით, რომელიც გვაქვს, წელს მათი რაოდენობა 1,5 მილიონზე მეტიც კი იქნება. განვიხილავთ ტრანსპორტთან დაკავშირებულ პრობლემებს. ვფიქრობ, ჩვენ დაინტერესებული ვართ იმით, რომ განვითარდეს ჰუმანიტარული და კულტურული ხასიათის კონტაქტები. ჩვენ გვაქვს ასევე ერთი, ერთობლივი, 2011 წლის შეთანხმება საბაჟო მონიტორინგის თაობაზე.

კობა ლიკლიკაძე: რომელიც ჯერჯერობით წინ ვერ მიიწევს.

გრიგორი კარასინი: რატომ, მიიწევს. თქვენ ბუნებით რევოლუციონერი ჩანხართ. ერთბაშად ამის მიღწევა ძნელია. ჩვენ შექმნილი გვაქვს სპეციალური ერთობლივი ჯგუფი. მისი წევრები ბერნში შეიკრიბნენ მაისის ბოლოს და მოილაპარაკეს მორიგი შეხვედრის გამართვაზე სექტემბერში. მოკლედ, ადამიანები ხვდებიან ერთმანეთს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამასაც შევეხებით, მაგრამ დეტალებზე სპეციალისტებმა უნდა ილაპარაკონ.

რაც შეეხება ორმხრივი ურთიერთობის ატმოსფეროს, ის არ არის მარტივი, რადგან, რაც უფრო ვშორდებით სააკაშვილის პერიოდის მტრობისა და კონფრონტაციულობის ჩიხს, თავს ვაღწევთ ყველა სიძნელეს და ვამყარებთ ნორმალურ ურთიერთობას ადამიანებსა და ხალხებს შორის, მით უფრო მეტად იგრძნობა ნერვიულობა ვაშინგტონსა და ბრიუსელში, მხედველობაში მაქვს — ნატოში. და ასეთი წინააღმდეგობრიობა რაღაცნაირად უნდა გადაიჭრას.

კობა ლიკლიკაძე: და რითია გამოწვეული, ბატონო კარასინ, მათი ასეთი ნერვიულობა?

გრიგორი კარასინი: დასავლეთში ნერვიულობა, პირველ რიგში, გამოწვეულია იმით, რომ ნორმალური ურთიერთობები მყარდება საქართველოსა და რუსეთს შორის. ეს ხალხი ფიქრობს, რომ საქართველო უკვე არის შემადგენელი ნაწილი გარკვეული ბლოკის, რომელზეც შესაძლებელია დაყრდნობა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მიმართული გარკვეული არამეგობრული მოქმედების შემთხვევაში, მით უფრო, რომ სამხრეთ კავკასია უშუალოდ მდებარეობს ჩვენი საზღვრების მახლობლად. და ეს ხალხი გააქტიურდა. ისინი ემზადებიან ნატოს დეკემბრის სამიტისთვის. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ღია განცხადებას აკეთებს, რომ საჭიროა ნატოში საქართველოს დაჩქარებული მიღება.

კობა ლიკლიკაძე: და ეს საგანგაშოა რუსეთის ფედერაციისათვის?

გრიგორი კარასინი: საგანგაშო — ეს ძალიან რბილი ნათქვამია, ძალიან რბილი. სინამდვილეში, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს დამღუპველად იმოქმედებს ჩვენს ურთიერთობაზე.

კობა ლიკლიკაძე: ჩეხეთიც არის ნატოსა და ევროკავშირის წევრი, მაგრამ რუსეთს მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს.

გრიგორი კარასინი: ეს ცოტა არასწორია. ჩვენ, რაც არ უნდა იყოს, თქვენთან უფრო ახლოს ვართ, ვიდრე ჩეხეთთან.

კობა ლიკლიკაძე: ვაშინგტონში ორი დღის წინათ გაიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და აშშ-ის საგანგებო მდივნის შეხვედრა, რომელზეც ანაკლიის პორტთან დაკავშირებით მაიკ პომპეომ ასეთი რამ თქვა: ეს პროექტი დაეხმარება საქართველოს განავითაროს ურთიერთობები თავისუფალ ეკონომიკებთან და არ მოექცეს რუსეთისა და ჩინეთის გავლენის ქვეშ, რომლებიც თავს საქართველოს მეგობრებად წარმოაჩენენ, თუმცა არ გამოხატავენ საქართველოს ინტერესებს.

გრიგორი კარასინი: ეს ციტატა ზუსტად იმის ილუსტრაციაა, რაც მე ცოტა ხნის წინათ ვთქვი.

კობა ლიკლიკაძე: რუსეთი არის დაინტერესებული, რომ ანაკლიის პორტი აშენდეს?

გრიგორი კარასინი: ჩვენ დაინტერესებული ვართ საქართველოს, მისი ეკონომიკის, სოციალური, კულტურული და სხვა სფეროების განვითარებით. საქართველომ უნდა გადაწყვიტოს, რა მოუხერხოს ანაკლიის პორტს, მაგრამ, რაც რუსეთისა და ჩინეთის მიმართ ითქვა, ეს სულაც არ არის ის ტონი, რომელიც ჩვენ ხელს გვაძლევს“...

კობა ლიკლიკაძე

ევროკავშირის ფორმატის განვითარება შესაძლებელია!

„2019 წლის 13 ივნისს ქ. პრაღაში ქართულ-რუსული არაფორმალური დიალოგის ფარგლებშიგაიმართა მორიგი შეხვედრა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელს ზურაბ აბაშიძესა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანს, მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინს შორის.

შეხვედრის დასაწყისში ზ. აბაშიძემ ყურადღება გაამახვილა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ რთულ ვითარებაზე. აღინიშნა, რომ ადგილი აქვს ამ რეგიონების მზარდ მილიტარიზაციას, უხეშად ირღვევა საერთაშორისო სამართლის ნორმები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპები. მოყვანილი იქნა კონკრეტული მაგალითები.

აღინიშნა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მნიშვნელობა, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული საკითხების განხილვის უმთავრეს ფორმატს წარმოადგენს. გამოითქვა იმედი, რომ ჟენევის ფორმატში შესაძლებელი გახდება ხელშესახები პროგრესის მიღწევა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებიდან მხარეებმა მიმოიხილეს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკა, სატრანსპორტო კავშირები, გარკვეული ჰუმანიტარული პრობლემები. ყურადღება გამახვილდა აღნიშნულ სფეროებში ჩართული ქართული კომპანიების ინტერესების დაცვასა და პრობლემების მოგვარებაზე.

საუბარი შეეხო „საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმებთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ“ 2011 წლის შეთანხმების იმპლემენტაციას. კერძოდ, აღინიშნა, რომ მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ ექსპერტების დონეზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული შეთანხმების წარმატებით რეალიზაციას.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის მხარე გამუდმებით აყენებს კრიტიკულ კონტექსტში საკითხს ე.წ. ლუგარის ლაბორატორიის საქმიანობასთან დაკავშირებით, ზ. აბაშიძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აღნიშნული ცენტრის კარი ღიაა ყველა ქვეყნის, მათ შორის რუსი მეცნიერებისა და ექსპერტებისათვის.

პრაღაში მორიგი შეხვედრის თარიღი მოგვიანებით დაზუსტდება“, — აღნიშნულია მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. შეხვედრა კარასინსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელს რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძეს შორის პრაღაში 13 ივნისს გაიმართა.

გია ვოლსკი: აშშ, ნატო და ევროკავშირი არიან იმ საფრთხეების ალტერნატივა, რომელიც რუსეთიდან მოდის

კარასინის განცხადება საფრთხის შემცველია, ეს მუქარაა, ეს არის თემა, რომელსაც რუსეთის ფედერაცია არასდროს შეცვლის, რადგან მას სტრატეგიული ამოცანები, მიზნები აქვს და სულ არ აინტერესებს, აფხაზის, ოსისა ან ქართველის ბედი, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ განაცხადა. როგორც გია ვოლსკიმ აღნიშნა, რუსეთის აგრესიის დაბალანსების ერთადერთი პოლიტიკა ის არის, რასაც ხელისუფლება აწარმოებს.

„ეს საფრთხეების შემცირებისთვის არის მიმართული. საქართველო მარტო არ არის და ბრტყელ-ბრტყელი განცხადებები, რომ საქართველო საერთაშორისო რადარებიდან მოხსნილია, სხვა არაფერია, თუ არა უზნეო სპეკულაცია. მცდარია პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მიიჩნევს, რომ რუსეთის წინაშე ქედის მოხრით შეიძლება რაიმე კომპრომისს მიაღწიოს. ზედმეტი ბაქიბუქი, რაც მეორე მხარეს ახასიათებს, სწორი არ არის. საქართველოს სწორი პარტნიორები ჰყავს შერჩეული, საერთაშორისო პოლიტიკას სწორი მიმართულებით ვავითარებთ. ამერიკის შეერთებული შტატები, ნატო, ევროკავშირი ის მოკავშირეები არიან, რომლებიც ალტერნატივაა იმ საფრთხეების, რაც რუსეთიდან ისედაც მოდის, მის მიმართ რა პოლიტიკაც არ უნდა გქონდეს. მას თავისი სტრატეგიული ამოცანა აქვს, ოკუპაციას ახდენს და ამიერკავკასიაში, საქართველოში საკმაოდ მძლავრი სამხედრო წარმომადგენლობა ჰყავს. აქედან გამომდინარე ნურავინ დაიჯერებს, რომ რაიმე შემრიგებლური, მეგობრული ურთიერთობები ამ პრაგმატულ სამყაროში არის შესაძლებელი. საქმიანი ურთიერთობა და გარკვეულ ფორმატში მოლაპარაკებები საჭიროა, მაგრამ დასავლური კურსი სწორია ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის. ჩვენს პოლიტიკას მხარს უჭერს საერთაშორისო თანამეგობრობა — ბრიუსელი, ვაშინგტონი და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რა ფორმულას გვთავაზობენ ოპონენტები“, — განაცხადა ვოლსკიმ.

მოილოცე, დასახლდი და დაიცავი!..

აზერბაიჯანელმა და ქართველმა საზოგადოებამ რუსულ მეხუთე კოლონას არ უნდა მისცეს საშუალება ჩვენი ურთიერთობის გასაფუჭებლად

როგორ უნდა გაუქარწყლდეს აზერბაიჯანს სურვილი, რომ არ დაეპატრონოს ქართველების მიერ აგებულ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში შემავალ ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს?! ამისთვის ჩვენი საზოგადოების რეკომენდაციები მრავალგვარია და, მათ შორის, ერთ-ერთია დავითგარეჯის სიახლოვეს ქართული სოფლების გაშენება; ასევე, გარეჯობის დღესასწაულის აღდგენა.

როგორც ცნობილია, დავითგარეჯის უდაბნოს რამდენიმე ოაზისი აქვს უზარმაზარ ტერიტორიაზე გაბნეული მონასტრებისა და სოფელ უდაბნოს სახით, სადაც გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასახლებული ეკომიგრანტები, ძირითადად სვანები ცხოვრობენ.

სოფელი უდაბნო გარეჯის ზეგანზე მდებარეობს, წლების წინ ამ სოფლის მოსახლეობას წყალი არ ჰქონდა და ისე უჭირდა, რომ სახლები 350 დოლარად გაყიდეს, ზოგმაც თავიანთი ქონება ძროხაში გაცვალა. წყლის გაყვანის შემდეგ კი სოფელ უდაბნოში მიწის ფასი გაიზარდა. აქვე ბეთანიის მონასტრის მრევლმაც შეიძინა მიწა. სხვათა შორის, სოფელ უდაბნოში მიწების შესყიდვით არაბებიც იყვნენ დაინტერესებულნი.

რას მოიტანს დავითგარეჯის მახლობლად უფრო მეტი სოფლის გაშენება?

ანალიტიკოსი **ვაჟა ბერიძე** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ დავითგარეჯის კომპლექსის მახლობლად უკვე არსებობს სოფელი უდაბნო, რომელიც საბჭოთა პერიოდში ძირითადად სვანეთიდან გადმოსახლებული ადამიანების ჩასახლების მიზნით აშენდა. ეს სოფელი საკმაოდ კარგი და მძლავრია, ქართული სულიერებისა და ძალმოსილების გამოხატულებაა და მეტი ყურადღება სჭირდება. თუკი ახალი სხვა სოფელი გაჩნდება იმავე მოდამოებში და სათანადო კარგი ავტომაგისტრალიც მივა იქამდე, ამას რა სჯობს.

რაც შეეხება ზოგადად დავითგარეჯის პრობლემას, ანალიტიკოსი განმარტავს, რომ ქვეყნის შიგნით და გარეთ არსებულ გარკვეულ ძალებს სურთ, საქართველოს შეექმნას სერიოზული პრობლემები ყველა მეზობელთან, რუსეთთან თავისთავად არსებობს პრობლემები, ახლა ამას ემატება აზერბაიჯანიც. ამიტომ საჭიროა პრინციპული, გაბედული, მაგრამ ფრთხილი მოქმედება, რომ ჩვენ მეზობლად არ მივიღოთ 9 მტრულად განწყობილი „სტრატეგიული პარტნიორი“.

სამწუხაროდ, როგორც ჩვენ გვინდა, სამყარო ისე არ არის მოწყობილი, ყველაფერს აქვს თავისი მიზანშეწონილობა და დავითგარეჯის პრობლემასაც აქვს ორი მკაფიო ასპექტი: ეს არის საერთაშორისო სამართლებრივი და ისტორიული ასპექტი.

ვაჟა ბერიძის შეფასებით, ისტორიული თვალსაზრისით, დავითგარეჯი ჩვენი სულიერების სავანე, ქართული კულტურის ძეგლი, ქართული ისტორიული ტერიტორიაა. ალბანელებს თუკი ჰქონდათ ამ კომპლექსთან რაიმე მიმართება, ქართველები არიან ალბანელების მემკვიდრეები, მათ შორის, ნამდვილი ქართველები – ჰერები ისევე, როგორც კახელები, ქართლელები, იმერლები და ა.შ. ამ ხალხის ნაწილი აზერბაიჯანულ-თურქმანულ მოსახლეობას შეერწყა, რომლებიც აქ მკვიდრდებოდნენ საუკუნეების განმავლობაში.

„ისტორიული ასპექტი, ცხადია, საჩვენოა, რადგან, როდესაც ასურელი მამები აარსებდნენ კულტურული სულიერების ცენტრებს, მაშინ კავკასიაში აზერბაიჯანელები და მათი წინაპრები არ ჩანდნენ. ისინი დიდი თურქობის და შემდგომ პერიოდში ჩანან თანდათანობით, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით არა აქვს. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, მართალია, აღვადგინეთ 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული დამოუკიდებლობა, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობამ ჩვენ გვცნო არა დამოუკიდებელი საქართველოს საზღვრებში (1918-21 წლების პირველი რესპუბლიკა მაქვს მხედველობაში), არამედ საბჭოთა საქართველოს საზღვრებში. სწორედ აქედან უნდა შევიდეთ ამ პრობლემაში და ფრთხილად ვიყოთ, რადგან აზერბაიჯანი ჩვენი სტრატეგიული მეგობარია თურქეთთან ერთად და, გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ეს პრობლემა ისე უნდა გადავწყვიტოთ, რომ ჩვენი სტრატეგიული მეგობრობა არ შეიცვალოს“, – აცხადებს ვაჟა ბერიძე.

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** აცხადებს, რომ დავითგარეჯთან არცთუ ისე შორს უკვე არსებობს სოფელი უდაბნო, ასევე, ჯანდარასთან ზედ საზღვარზე კიდევ არის ერთი სოფელი. ამდენად, ახალი სოფლის გაშენებას ვინ აპირებს და სად აპირებს, ეს გაურკვეველია.

„აქ პრობლემა ისაა, რომ ეს ტერიტორია ჯერჯერობით გაურკვევლად ითვლება. სოფლის გაშენებით საკითხი როგორ გადაწყდება, კაცმა არ იცის. თუ ჩვენ მივდივართ იმაზე, რომ შეთანხმებით კი არა, პროტესტით მივაღწიოთ რაღაცას, ეს არ არის სწორი. ჩვენ უნდა შევძლოთ, დავილაპარაკოთ აზერბაიჯანთან და, თუ ორივე მხარე არ ვართ მზად ამისთვის, მაშინ სჯობს, ეს მონაკვეთი დარჩეს ღიად და ორივე მხარისთვის შეუზღუდავი იყოს მომლოცველთა, მნახველთა და ტურისტთა გადაადგილება. ხოლო, როდესაც საკითხი დაკარგავს იმ აქტუალობას, რაც დღეს აქვს, მაშინ შეიძლება გადავწყვიტოთ დავითგარეჯის პრობლემა. თორემ კავკასიაში სიტუაციის არევით დაინტერესებულია მესამე ძალა. უფრო სწორად რომ ვთქვა, რუსული მეხუთე კოლონა, რომელიც როგორც ქართულ, ისე აზერბაიჯანულ ხელისუფლებაშია. აზერბაიჯანელმა და ქართველმა საზოგადოებამ უნდა შეძლოს, რუსულ მეხუთე კოლონას არ მისცეს საშუალება ჩვენი ურთიერთობების გასაფუჭებლად. ამ ეტაპზე სხვა გამოსავალი არ ჩანს. ჩვენ ფხიზლად უნდა ვიყოთ“, – აღნიშნა ვახტანგ ძაბირაძემ.

მანანა ნოზაძე

„გურულებმა სუნთლა გადარიენ ამერიკა!“

გურული მოჯირითის სახე ნიუიორკულ მურალზე

მანჰეტენზე, ვესტ ვილიჯის ერთ-ერთი საჯარო სკოლის კედელზე, ამერიკაში საუკუნის წინ ჩამოსული ხუთი იმიგრანტის სახეა დახატული. კედლის მხატვრობა "თავისუფლების ფერების" სერიის ნაწილია და გასულ წელს, ბრაზილიელმა მურალისტმა, ედუარდო კობრამ დახატა. მურალი მონუმენტურია და იმიგრანტების სახეები 800 კვადრატულ მეტრზეა დახატული.

ნიუ-იორკის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ კედლის მხატვრობაზე მკვლევარმა ირაკლი მახარაძემ გურული მხედრის მშვიდობაძის სახე ამოიცნო. ირაკლი მახარაძე ამერიკაში გურული მოჯირითეების ისტორიას უკვე 20 წელია, იკვლევს და ამ თემაზე უამრავი დოკუმენტური მასალა მოიძია. მკვლევარი ამბობს, რომ გურულ მოჯირითეებზე, რომელთაგან ბევრი თბილისშიც კი არ იყო ნამყოფი, დასავლეთმა და ყველაზე მეტად კი ამერიკამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

„გურული მოჯირითეების თავგადასავალი ბავშვობიდანვე მიტაცებდა, განსაკუთრებით, როცა მოხუცები ყვებოდნენ ამის შესახებ: "ბიძია, გურულებმა ამერიკა სუნთლა გადარიენ მარა, თვითონაც გადარეულები ჩამევიდნენ," მაგრამ სერიოზულად ამ თემაზე მუშაობა, დაახლოებით, 20 წელია, რაც დავიწყე. ამ ხნის განმავლობაში უამრავი ახალი მასალა შევიძინე როგორც საქართველოში, ასევე ამერიკის არქივებსა და მუზეუმებში,“ – ამბობს ირაკლი მახარაძე.

გურულების დასავლური დიდება

ირაკლი მახარაძის მიერ მოძიებული ინფორმაციით ირკვევა, რომ პირველად გურულები ევროპაში, კერძოდ კი ინგლისში, 1892 წელს მოხვდნენ. ცნობილი ამერიკელი შოუმენის ბაფალო ბილ ქოუდის წყალობით, რომელიც მთელ მსოფლიოში ეძებდა გამოცდილ ცხენოსნებს. რუსეთის იმპერიაში მისმა წარგზავნილებმა მხოლოდ გურული მხედრები შეარჩიეს. მკვლევარის ცნობით, გურული მოჯირითეები აშშ-ში 1893 წელს ჩამოვიდნენ. გურულები „რუსი კაზაკების“ სახელით 30 წელზე მეტ ხანს გამოდიოდნენ ბაფალო ბილის წარმოდგენებში და ცირკებისა და შოუების არენებზე. ისტორიულ წყაროებში, ე.წ. „რუსი კაზაკების,“ იგივე ქართველი მხედრების შესახებ უამრავი დოკუმენტია შემონახული. მკვლევარი ამბობს, რომ ამერიკელებს ქართველი მხედრების სახელების გამოთქმა უჭირდათ, ამიტომ ისინი სანახაობებში, ძირითადად, გამოგონილი სახელებით მონაწილეობდნენ.

„მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ბევრ ისტორიულ წყაროში ისინი „კაზაკებად“ არიან მიჩნეულნი, ეს შეცდომა ნელ-ნელა სწორდება: ამერიკის რამდენიმე მუზეუმში მივაღწიე იმას, რომ ფოტოების აღმნიშვნელ წარწერებზე რუსების ნაცვლად, ქართველები დაეწერათ. თანამედროვე ამერიკულ საისტორიო წიგნებში (მაგ. Louis S. Warren Buffalo Bill's America William Cody and the Wild West Show, 2006, Tom F. Cunningham Your Fathers the Ghosts Buffalo Bill's Wild West in Scotland, 2007, Steve Frisen Buffalo Bill Scout, Showman, Visionary, 2010) უკვე მითითებულია, რომ მხედრები კაზაკები კი



არა, ქართველი მოჯირითეები იყვნენ, საქართველოს დასავლეთ ნაწილიდან,“ ამბობს "ამერიკის ხმასთან" საუბრისას ირაკლი მახარაძე.

მკვლევარი ამბობს, რომ „საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბოლშევიკებმა გურულებს დასავლეთისაკენ გზა გადაუკეტეს. ვინც საზღვრის იქითა მხარეს იმყოფებოდა, უკან აღარ ისურვა დაბრუნება და დროთა განმავლობაში ამერიკელებში აითქვიფა. კარგი დღე არ დაადგათ სამშობლოში დაბრუნებულ მოჯირითეებს. ბოლშევიკებმა ბევრი დააპატიმრა, ზოგი გადაასახლა – ამერიკის „შპიონი“ ხარო. მხედრები თავისი და ახლობლების სიცოცხლის გადასარჩენად თავისივე ხელით ანადგურებდნენ და წვავდნენ ფსევდომამხილებელ მასალებს, ფოტოებს, წერილებს... ამის გამო, გურულების ფოტოები, უამრავი მასალა სამუდამოდ დაიკარგა.“

ედუარდო კობრას ნამუშევარი დიდი პროექტის ერთი ნაწილია. პროექტი „ელის აილენდიზე“ განთავსებულ იმიგრაციის მუზეუმთან თანამშრომლობით განხორციელდა. „ელის აილენდი“ ეს არის კუნძული, რომლის გავლითაც აშშ-ში 12 მილიონზე მეტი იმიგრანტი ჩამოვიდა. ელისის კუნძულზე საიმიგრაციო სამსახური 1892 წელს გაიხსნა და 62 წლის განმავლობაში, დღეში საშუალოდ, 5 000 იმიგრანტს იღებდა. მათ შორის იყვნენ ქართველი იმიგრანტებიც.

კრიმინალები მოდიან!



„2007 წელს სააკაშვილის ხელისუფლებას რომ არ დავპირისპირებოდი, დღეს მათ, ვინც ივანიშვილის მეზარბაზნეები გახდნენ, ახალაიების ცოცხი დიდი ხნის შეზრდილი ექნებოდათ და არაფერი არ შეიცვლებოდა. თქვენ რომ მანდ ზიხართ, ჩემი დამსახურებაცაა“, — ირაკლი ოქრუაშვილი გაბრაზებულია და თავის ირგვლივ ასეთივე ადამიანების შემოკრებას აპირებს.

გაბრაზებული ადამიანების ახალმა პოლიტიკურმა მოძრაობამ -„გამარჯვებულმა საქართველომ“, ოქრუაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ივანიშვილის ჭაობის ამღვრევა განიზრახა. სააკაშვილის დროინდელ ყოფილ მაღალჩინოსანს აქვს ამბიცია, შეცვალოს ხელისუფლება. თუკი არჩევნებით მკურნალობის მეთოდი არ გაამართლებს, 2003 წლის კონსპექტები (ანუ ვარდების რევოლუციის თაბახები) შენახული აქვს. ახლა ივანიშვილზეა დამოკიდებული, მისი ხელისუფლება 2020 წელს შეიცვლება კარგად, თუ ცოტა მტკივნეული ფორმებით.

ოქრუაშვილი ამბობს, რომ უსამართლობას ვერ ეგუება, 2007-შიც უსამართლობის გამო დატოვა თბილი სავარძელი. ეს მაშინ, როცა ყველაზე მტკივნეული რეფორმები მის მიერ იყო გატარებული, მათ შორის, 2004 წელს დაწყებული პატრულის რეფორმა.

„მძვინვარე ირაკლის“, როგორც მას ეძახიან, საქციელი ჩვენი საზოგადოებისთვის ზოგჯერ აუხსნელია. მაგალითად, 2007-ში ის ამბობდა, შანსს არ გავუშვებ, არ გავანადგურო სააკაშვილიო, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნებისას სააკაშვილთან ისევ გამონახა საერთო ენა, როცა გრიგოლ ვაშაძის მხარდაჭერა მიშას მხარდაჭერით კი არა, სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ პოზიციის გამოხატვით ახსნა.

„ოლიგარქებისგან თავისუფლდება ცხოვრება, რომლებიც ქვეყანას აპრივატებენ. ივანიშვილი თავის შვილს ველარ დატოვებს ქვეყნის მმართველად“, — ასეთია ოქრუაშვილის გზავნილები, რომელმაც არც სოსო რობაქიძე დატოვა უყურადღებოდ და მისი პოლიტიკური მოძრაობის პრეზენტაციაზე გასაპროტესტებლად მისული შვილმკვდარი მამის ქმედებას მასკარადის გამართვა უწოდა, რითაც ამ ადამიანმა თურმე ფული იშოვა.

თუკი გავიხსენებთ ირაკლი ოქრუაშვილის ოდიოზურ წარსულს, მაშინ საინტერესოა, ჩვენი ხალხისთვის რამდენად სასურველი პოლიტიკოსია ირაკლი ოქრუაშვილი? ამის შესახებ პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** გვესაუბრება.

სოსო ცინცაძე:

გაბრაზებული ადამიანები ვერავინ გამოიყვანა სამზარეულოდან!..

— ზოგისთვის ირაკლი ოქრუაშვილი მტკიცე პერსონასთან ასოცირდება, ზოგისთვის — „ბორდელში რეიდთან“, ან უტაქტო გამონათქვამებთან, რომ „რუსულ ბაზარზე საქართველოდან გატანილი ფეკალური მასაც კი იყიდება“ — სოსო რობაქიძისთვის კი ის, უბრალოდ, კრიმინალია და სწორედ „კრიმინალები მოდიან პოლიტიკაში“...

— თავიდანვე შეთქმულებივით განეწყვნენ ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ და ეს არ იყო ჯენტლმენური საქციელი. გუბაზ სანიკიძე მართალი იყო, როდესაც გაბრაზდა ინგა გრიგოლიაზე, რომელიც გამუდმებით გაიძახოდა, ოქრუაშვილი, ოქრუაშვილიო. მთელი გადაცემის განმავლობაში ეკრანზე ჩანდა წარწერა — „ოქრუაშვილი ბრუნდება პოლიტიკაში“. მაშინ რატომ არ ეწერა, გელბახიანი ბრუნდება პოლიტიკაში? თავის დროზე გელბახიანიც ხომ იყო პარლამენტის წევრი, მერე მიშას დროს გაიქცა და, როგორც ოქრუაშვილი, ისე გელბახიანიც დევნილი იყო, მაგრამ ვინაიდან უფრო ადვილად შეიძლება ოქრუაშვილის ასოცირება მიშასთან, „ნაციონალებთან“, ამიტომ დასაწყისშივე უფუჭებენ მას იმიჯს.

— ოქრუაშვილი „ნაცმოძრაობის“ შექმნასთან ასოცირდება, შესაძლოა, ესეც არის განსხვავებული განწყობის ერთ-ერთი მიზეზი. დღეს ოქრუაშვილი აცხადებს, თუ სააკაშვილი ოდესმე დაბრუნდა, პირველს ივანიშვილს დაწვავს კოცონზე, შემდეგ — მას, ანუ ოქრუაშვილს. ამის მიუხედავად, ოქრუაშვილმა სააკაშვილს შეუნდო.

— „ნაცმოძრაობის“ შემქმნელი ოქრუაშვილი არ ყოფილა. თავის დროზე მიშა წერილებს რომ არიგებდა ფილარმონიაში „ნაცმოძრაობის“ დაფუძნების დროს და თავისთან ეპატიჟებოდა ადამიანებს, მეც მივიღე ის წერილი, მაგრამ მერე რომ ვკითხე ირაკლი ოქრუაშვილს, მას არ მიუღია წერილი. მაშინ ფილარმონიაში არც მე მივსულვარ, არც ოქრუაშვილი არ იყო იქ. რასაკვირველია, ენა როგორ უნდა მოგიბრუნდეს, როდესაც აბსოლუტურად უდანაშაულო ახალგაზრდა ბიჭს, ბუტა რობაქიძეს კლავენ, მაგრამ რა ვქნა, მე არ მომწონს მამამისის ხმაურიანი გამოსვლები.

— სოსო რობაქიძეს აქვს არგუმენტი, რადგან მისი შვილის ტრაგედიის დროს სწორედ ოქრუაშვილი იყო შს მინისტრი, მის პერიოდში მოხდა საქმის ფალსიფიკაცია, იარაღის ჩადება, რაც განახორციელეს შსს-ს მაღალჩინოსნებმა რობაქიძესთან მიმართებით.

— ოქრუაშვილის შემხებლობა ამ საქმესთან არ დამტკიცებულა. უბრალოდ, ჩატარდა სასამართლო, რომელზეც ძალიან სურდათ, ოქრუაშვილის სახელი მიებათ. შსს-ს პრესსამსახურის უფროსი გურამ დონაძე ამბობდა, „ირაკლისთან უნდა ავიდე, ირაკლის რა ვუთხრაო“, მაგრამ სასამართლომ, რომელიც სულაც არ იყო ოქრუაშვილის მიმართ დადებითად განწყობილი, ამ საქმეში მისი ბრალეულობა არ გამოკვეთა და რობაქიძის მკვლელობის პროცესზე ოქრუაშვილის ხსენებაც არ ყოფილა. ამიტომ რობაქიძის მივარდნა ჯენტლმენობად არ მიმაჩნია.

— მაგრამ ახალგაზრდა ბიჭის მკვლელობის გამო ოქრუაშვილს, როგორც მინისტრს, სულ მცირე, ხომ უნდა გაენაწილებინა მორალური პასუხისმგებლობა?

— რასაკვირველია. ოქრუაშვილი იმ დროს მინისტრი იყო და მის დროს მოხდა ეს ოპერაცია, მაგრამ ამ საქმეში ოქრუაშვილის კონკრეტული ბრალი არ გამოკვეთილა. ობიექტურობისთვის რომ ვთქვათ, გავიხსენოთ, რამდენი ასეთი ზონდერი ზის დღეს „ოცნების“ სიით პარლამენტში.

— გეთანხმებით, პორტირებული „ნაცები“ „ოცნების“ სუსტი მხარეა.

— დიახ, მეც ამას ვგულისხმობ. ოქრუაშვილმა თუ რამე მიჰქარა, მან ეს ყველაფერი ზღო, ანუ თავისი დანაშაული ათჯერ მეტ ფასად გადაიხადა. როგორ შეიძლება ადამიანმა დაივიწყოს, ნარკოტიკებით რომ გააბრუეს და ემუქრებოდნენ, შენს შვილს, გოგონას შენს თვალწინ გავაუპატიურებთ, თუკი არ უარყოფ შენს ნათქვამს, რომ მიშამ დამავალა პატარკაციშვილის აფეთქებაო. სპორტული პიჟამათი რომ დასვეს ეთერში და გაბრუებული აზრზე არ იყო, რას ლაპარაკობდა. აუცილებელი არ იყო ნარკოლოგი ყოფილიყავით, ყველა მიხვდებოდა, რომ გაბრუებული იყო, რათა ეთქვა, მე მოვიტყუე, სიცრუე ვთქვი და ასეთი ფაქტი არ მომხდარაო?! რაც ოქრუაშვილს უყვეს, ვინ გადაიტანა ამდენი?!

— მისი მოწინააღმდეგეები იმასაც იხსენებენ, რომ 2011 წლის საპროტესტო მოძრაობისას ოქრუაშვილი საფრანგეთიდან გვპირდებოდა, სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, მაინც ჩამოვალო, მაგრამ თვითმფრინავით მხოლოდ ოქრუაშვილის პალტო და „ბეზრუკავკა“ ჩამოვიდა და არა ოქრუაშვილი.

— დიახ, მაშინ არ ჩამოვიდა, ყველა დეტალი ჩვენ არ ვიცით, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ოქრუაშვილი არ არის ლიდერი ამ მოძრაობის. განა გუბაზ სანიკიძე, ვალერი გელბახიანი, რომელთაც ჭიპი აქვთ მოჭრილი პოლიტიკაში, ვერ განსაზღვრავდნენ, რომ ოქრუაშვილი ხელად გახდებოდა სამიზნე? ამიტომაც დაარსდა მოძრაობა, რომელსაც ერთი ლიდერი არ ჰყავს, ეს არის გუნდი, არ გახლავთ ირაკლი ოქრუაშვილი ლიდერი, ის არის თანასწორთა შორის ერთ-ერთი.

— რისი შეცვლა შეეძლება ირაკლი ოქრუაშვილს ქვეყნის სასიკეთოდ? პაატა ზაქარეიშვილი მის უარყოფით წვლილს იხსენებს ქართულ-ოსურ ურთიერთობებში. მის არცთუ ძლიერ მხარედ მიიჩნევენ ერგნეთის ბაზრობის გაუქმებას.

— პაატა ოთხი წელი იყო შერიგების მინისტრი, ვინ შეარიგა? რაც შეეხება ერგნეთის ბაზრობის გაუქმებას, ერგნეთის ბაზრობა ხალხს რაღაც შეღავათს აძლევდა, მაგრამ შენ თუ სახელმწიფოს აშენებ, არ შეიძლება კონტრაბანდის ღია კერა დატოვო. ერგნეთის ბაზრობა ამ თვალსაზრისით ანტისახელმწიფოებრივი იყო. ოქრუაშვილი იყო მინისტრი და ის ვერ დახუჭავდა თვალს კონტრაბანდაზე. ეს იგივე გამოვიდოდა, შევარდნაძე რომ ჩამოვიდა და თქვა, ვაიმე, კი ვხედავ, რაც ხდება, მთელი ჩვენი ტექნიკა ჯართის სახით გააქვთ თურქეთში, მაგრამ ხალხი მშიერია, ხმა როგორ ამოვიღოო. ამ დროს უკრაინისა და ბელორუსიის შემდეგ ყაზახეთის დონის სოფლის მეურნეობის ტექნიკა გვქონდა, ეს ყველაფერი დაშალეს და გაზიდეს თურქეთში, სამაგიეროდ, დღეს ტრაქტორი აღარ არის სოფელში. ეს ტექნიკა რომ არ გაეტანათ, საქართველოს თითო გლეხზე თითო ტრაქტორი მოვიდოდა.

— ბოკერიამაც მოუნახა ოქრუაშვილს უარყოფითი და ოქრუაშვილს რუსული პროპაგანდის ნაწილი უწოდა, რომელმაც რუსული ტელევიზიით საქართველო ომის დაწყებაში დაადანაშაულა. შესაძლოა, ოქრუაშვილს კეთილშობილური მიზნები ჰქონდა, როცა 2007 წლის 1 იანვარს ცხინვალში ზეიმის აღნიშვნას გვპირდებოდა, მაგრამ 2004-ში მისი შს მინისტრობისას გორში საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო ტექნიკა და შინაგანი ჯარის სპეცდანიშნულების მებრძოლნი როცა გამოჩნდნენ, ამას დაპირისპირება მოჰყვა, დაიღუპნენ ჩვენი ჯარისკაცები და 40 ტყვედ ჩავარდა.

— მსოფლიო ისტორიაში ათი ათასობით პატრიოტ პოლიტიკოსს, რომელსაც შემდეგ სიცოცხლეც შეუწირავს ქვეყნისთვის, წარსულში ჰქონია უდიდესი შეცდომები დაშვებული და აქ დანაშაულებრივ შეცდომებზეა საუბარი. ახლა გამოდიან ვოლსკი და კობახიძე და იძახიან, რა მემკვიდრეობა მივიღეთო. კი ბატონო, მე არავითარი არგუმენტი არ მაქვს, მიშა ვაქო, ბოლოს და ბოლოს, მიშას დროს დაიხურა ჩემი დიპლომატიური აკადემია, მაგრამ „ნაციონალებმა“ რა მემკვიდრეობა მიიღეს? მემკვიდრეობად მიიღეს სომალი. რამდენი იყო პენსია? - 7 ლარი, შს მინისტრი თარგამაძე იძახდა, მე პოლიციელებს ქრთამის აღებას ვერ დავუშლი, რადგან მშივრები არიანო. თვითონ ხომ მილიონერი იყო? ეგ და მისი მოადგილეები ყველანი მილიონერები იყვნენ, უშიშროების სამსახურის ხალხმა იმ პერიოდში სასახლეები აიშენა.

— მოსახლეობას „ნაცების“ დროინდელი სისხლიანი კვალი უფრო ახსოვს, ვიდრე ცალკეული ქალაქის რეაბილიტაცია, თუნდაც სიღნაღის.

— ჩვენი უბედურებაც ის არის, არც გამსახურდიას აწყობდა ძლიერი ანალიტიკური სამეცნიერო-კვლევითი სამსახური, არც შევარდნაძეს, არც სააკაშვილს და არც „ოცნებას“. რასაკვირველია, ბევრი დანაშაული იყო მიშას დროს ჩადენილი, ვინ დაივიწყებს 7 ნოემბერს, დასისხლიანებულ ხალხს, მათ შორის, ბევრ ჩემს მეგობარს, იმ კადრებს რომ ვუყურებ, დღესაც ცუდად ვხდები, მაგრამ ევროპასა და ამერიკაში არავინ უხსენებს მიშას ამას. მოდით, ვაღიაროთ, რომ ევროპასა და ამერიკაში მიშას რეფორმატორის რეპუტაცია აქვს.

— სწორედ ამაში ადანაშაულებენ „ქართულ ოცნებას“, რომ მათ ვერ გაიტანეს საზღვარგარეთ ის რეალობა, რაც ხდებოდა„ნაციონალების“ წლებში საქართველოში.

— იმიტომ ვერ გაიტანეს, რომ გატანის დაწყებით, თვითონაც დაზარალდებოდნენ. თოკს რომ გამოსწევ, მაშინ ბოლომდე უნდა გამოსწიო, არ შეიძლება, ეს თოკი შუაში გააჩერო. ამ დროს „ოცნება“ გავსებულია „ნაცებით“. სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშნეს ლონდა თოლორაია, რომელზეც ითქვა, ადეიშვილის კადრიაო. მე ეს არც ვიცოდი, მაგრამ ვინც დანიშნა, იმან ხომ იცოდა? ეს ხომ ორმაგი სტანდარტია? რატომ არის ეს ორმაგი სტანდარტი? ჩავწვდეთ ამის სიღრმეს. მიშა ორჯერ უპირებდა მერაბიშვილს გაგდებას და ივანიშვილი ახალმოსული და გულახდილი როცა იყო, ამბობდა, 40 წუთი ველაპარაკებოდი მიშას და გადავათქმევინე მერაბიშვილის მოხსნაო. თუ ასეა, მაშინ ყველა გამოდის შემსრულებელი, მაგრამ, თუ ჩვენ საერთაშორისო სტანდარტებით მივუდგებით, დანაშაულებრივი ბრძანების შემსრულებელი თვითონაც დამნაშავეა. ეს წამოვიდა ნიურნბერგის პროცესიდან.

კი მაგრამ, როცა „ოცნება“ გატენილია პორტირებული „ნაცებით“, როდესაც მობილურზე ჩემი ლაპარაკი ადეიშვილის გამოზრდილი კადრის ხელში უნდა იყოს, კითხვა მიჩნდება, ნუთუ საქართველოში აღარ მოიძებნა ერთი პატიოსანი გოგონა, ან პატიოსანი ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც არაფერში არ არის გასვრილი?! სხვათა შორის, „სპუტნიკმაც“ ასე შეაფასა, ოქრუაშვილი ქმნის გაბრაზებული ადამიანების პარტიასო. თუკი გაბრაზებული ადამიანების პარტიამ შეძლო უკმაყოფილო ადამიანების მობილიზება, ეს ძალიან კარგი იქნება. დღეს საქართველოში ყოველი 10 ადამიანიდან 7-8 უკმაყოფილოა, მაგრამ სახლში ზის და სამზარეულოში აგინებს მთავრობას, ქუჩაში გამოსვლა, რისკზე წასვლა არ უნდათ. ამას ემატება ისიც, რომ ჩვენთან ახალგაზრდობა აპოლიტიკურია, თუნდაც ჩემს შვილს საერთოდ ვერ გააგონებთ პოლიტიკას. არ დაიჯერებთ, მაგრამ ჩემი არც ერთი ტელეგამოსვლა არ უნახავს და არც ერთი ინტერვიუ არ წაუკითხავს. არადა, 1972 წლიდან ტელევიზიაში ვარ, ათასობით სტატია მაქვს გამოქვეყნებული, ასევეა მისი ყველა ამხანაგი, არ აინტერესებთ პოლიტიკა.

აქამდე არსებულმა პარტიებმა ვერ გააერთიანეს გაბრაზებული ადამიანები. გაბრაზებული ქსენია დიასახლისის ქუჩაში გამოყვანა ძალიან ძნელია, ისინი არც არჩევნებზე წასვლით იკლავენ თავს. ყველა არჩევნებზე 60% სახლში რჩება. ახლა კი გაბრაზებული ადამიანების ახალი პოლიტიკური მოძრაობა არის მცდელობა. რაც მეტი იქნება ასეთი მცდელობა, მით უკეთესი, რადგან რომელიმე ცდა მაინც გაამართლებს. დღემდე არც ერთმა მცდელობამ არ გაამართლა და გაბრაზებული ადამიანები ვერავინ გამოიყვანა სამზარეულოდან. შეიძლება, ამათ მაინც გამოიყვანონ, ყოველ შემთხვევაში, უნდა სცადონ.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ონკოლოგია: დროული დიაგნოზი - გზა გადარჩენისა

მედიცინის ერთ-ერთი ურთულესი სფეროს — ონკოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას მიეძღვნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ მედიცინის აქტუალურ პრობლემათა შემსწავლელი კომისიის სხდომა.

ქართველ ონკოლოგთა აღნიშნულ თავყრილობას, რომელზეც სწავლულმა პრაქტიკოსმა დასტაქრებმა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს, როგორებიცაა კიბოს სკრინინგის პროგრამა საქართველოში, პროსტატისა და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის საკითხები ესწრებოდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, დარგის წამყვანი სპეციალისტები, დარგობრივი პროფესიული ასოციაციების წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, აგრეთვე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების წარმომადგენლები.

კომისიის რიგით მეორე სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **გიორგი კვესიტაძემ**. მან ხაზი გაუსვა კომისიის მუშაობის მნიშვნელობას, რომლის მთავარი ფუნქციაა თანამედროვე სამამულო მედიცინის წინაშე არსებული აქტუალური პრობლემების მეცნიერული ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მიღება. აკადემიის პრეზიდენტმა წარმატება უსურვა სხდომის მონაწილეებს ურთულესი და უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვაში.

სხდომის მუშაობა წარმართა კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა **არჩილ ჩხოტუამ**. დამსწრეთა წინაშე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კლინიკური ონკოლოგიის საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი **რემა ღვამიჩავა**. მან საქართველოში მოქმედი სკრინინგის პროგრამა, მისი მიღწევები და ნაკლოვანებები, აგრეთვე მათი აღმოფხვრის გზები მიმოიხილა. სწავლულმა მედიკოსმა ჩამოთვალა სკრინინგის პროგრამის წინაშე არსებული მთავარი პრობლემები, მათ შორის სამიზნე პოპულაციის დაბალი დონე, არასაკმარისი დაფინანსება, საორგანიზაციო და სამენეჯმენტო სირთულეები. აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად სხდომის მონაწილეებმა შესაბამისი რეკომენდაციები მიიღეს.

საქართველოს ურولოგთა ასოციაციის გენერალურმა მდივანმა, პროფესორმა **არჩილ ჩხოტუამ** გააანალიზა სიახლეები პროსტატის კიბოს მართვაში. მას შემდეგ, რაც 2011 წლიდან მოყოლებული ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში პროსტატის კიბოს სკრინინგი შეწყდა, კიბოს შორსწასული და მეტასტაზირებული ფორმების სტატისტიკის ზრდა დადგინდა. სწორედ ამიტომაა, რომ ევროკავშირი, ევროპის ურولოგთა ასოციაციასთან ერთად, ცალსახად მხარს უჭერს პროსტატის კიბოს სკრინინგის პროგრამის დაწყებასა და ამ მიზნით სათანადო სახსრების გამოყოფას. პროფესორმა ა. ჩხოტუამ ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოში პროსტატის კიბოს სკრინინგის პროგრამა ბოლო ათი წლის მანძილზე არ შეწყვეტილა.

საქართველოს ურولოგთა ასოციაციასა და თბილისის მერიას შორის გამართული მოლაპარაკების შედეგად, 2017 წლიდან მოყოლებული, აღნიშნული პროგრამა ამჟამადაც დედაქალაქის ბიუჯეტიდან ფინანსდება.

პროფესორმა ა. ჩხოტუამ სხდომის მონაწილეებს ევროპის ურولოგთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის, პროფესორ **ჰენდრიკ ვან პოპელის** (ბელგია) წერილი გააცნო, რომელშიც ის უაღრესად დიდ კმაყოფილებას გამოხატავს საქართველოში პროსტატის კიბოს სკრინინგის პროგრამის არსებობასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით საქართველო ბევრად წინ არის ევროპის ქვეყნებთან შედარებით.

ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა **კონსტანტინე მარდალეიშვილმა** მიმოიხილა ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის საკითხები. მომხსენებლისა და საბჭოს წევრების მიერ აღინიშნა, რომ საქართველოში ფარისებრი ჯირკვლის კიბო სიხშირით მეორე ავთვისებიანი ონკოლოგიური დაავადებაა ქალებში. მისი სიხშირე ჩვენს ქვეყანაში მრავალჯერ აღემატება დასავლეთ ევროპის ქვეყნების სტატისტიკურ მაჩვენებლებს. ამასთანავე, ადგილი აქვს ამ ონკოლოგიური დაავადებების ახალი შემთხვევების ზრდის ტენდენციას. სხდომის მონაწილეებმა მიმოიხილეს აღნიშნულის შესაძლო მიზეზები.

საკითხების განხილვისა და ინტენსიური დისკუსიის შემდეგ, კომისიამ შეიმუშავა რეკომენდაციები აღმასრულებელი სტრუქტურების მიმართ. კერძოდ, ყველა გამომსვლელმა ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია, გაგრძელდეს ონკოლოგიურ დაავადებათა სკრინინგის პროგრამა საქართველოში. აღნიშნული პროგრამა კვლავ უნდა დაფინანსდეს ბიუჯეტიდან (ქალაქის, სახელმწიფო და სხვა). აუცილებელია სამიზნე პოპულაციის მოცვის მაჩვენებლის გაზრდა, რისთვისაც შემოთავაზებულ იქნა მთელი რიგი რეკომენდაცია: **კიბოს სკრინინგისა და ადრეულ სტადიებზე გამოვლენის პოპულარიზაცია; საზოგადოებაში კიბოს სტიგმის პრევენცია; სოციალურად დაუცველი ფენების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება კიბოს დიაგნოზისა და მკურნალობის თვალსაზრისით და სხვა. მნიშვნელოვნად ჩაითვალა ასევე პირველადი ჯანდაცვის რგოლისა და სოფლის ექიმების აქტიური ჩართვა კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საქართველოში ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის აღდგენის პროცესში სხვადასხვა სპეციალიზაციის ექიმების შესაბამისი მომზადებაც.**

ჩამოთვლილ და ბევრ სხვა მიღებულ რეკომენდაციას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გადაუგზავნის აღმასრულებელ სტრუქტურებს. კომისია კი მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას სამამულო მედიცინის წინაშე არსებული აქტუალური პრობლემების განხილვის მიზნით.

არჩილ ჩხოტუა,
პროფესორი,
საქართველოში მედიცინის აქტუალურ პრობლემათა შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე

მრავალშვილიანი მშობლის რაოდენობა იზრდება

მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მინიჭების წესისა და პირობების განსაზღვრის შემდეგ იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ ამ დრომდე 1 133-მა მშობელმა მიმართა.

უწყების ცნობით, მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი 82 პირს უკვე დაუდგინდა, მათ შორის, 55 დედას და 27 მამას. 1 051 განაცხადი კი განხილვის ეტაპზეა.

საქართველოს მთავრობის №212 დადგენილების საფუძველზე განხორციელებული ცვლილების თანახმად, პირმა სტატუსის დადგენაზე განაცხადი უნდა წარადგინოს იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ან საზოგადოებრივ ცენტრში. ყველა მრავალშვილიან პირს, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის პირობებს აკმაყოფილებს, შესაძლებლობა ექნება, სრულიად უფასოდ მოითხოვოს სტატუსის დადგენა.

აღსანიშნავია, რომ დღემდე აღნიშნული სტატუსის დადგენისთვის არ იყო განსაზღვრული ერთი საერთო წესი და პასუხისმგებელი უწყება.

დადგენილების თანახმად, მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი დაუდგინდება: საქართველოს მოქალაქეს ან სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელსაც ჰყავს ოთხი ან მეტი შვილი ან ნაშვილები; სტატუსის დადგენისთვის შვილების ასაკი შეზღუდული არ არის. იგი შეიძლება დაუდგინდეს, როგორც არასრულწლოვანი, ასევე სრულწლოვანი შვილების მშობელს; მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირი ერთდროულად შეიძლება იყოს ორივე მშობელი — დედაც და მამაც.

მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის დადგენა სრულიად უფასოა და გადაწყვეტილება განაცხადის წარდგენიდან 30-ე კალენდარულ დღეს მიიღება.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სიფრთხილისკენ მოგვიწოდებს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მოქალაქეებს სიფრთხილისკენ მოგვიწოდებს.

„ზღვაზე, ტბებზე, მდინარეებსა და სხვა სანაპირო ზოლებზე, უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით დაიცავით კონკრეტულ ადგილებში უსაფრთხოებისთვის დადგენილი წესები. ყურადღება მიაქციეთ სანაპირო ზოლზე არსებულ საინფორმაციო ბანერებს და ამკრძალავ ნიშნებს. ასევე, არ გასცდეთ წყალში მონიშნულ საცურაო ტერიტორიას და მაშველთა პატრულირების არეალს; არ შეხვიდეთ წყალში არაფხიზელ მდგომარეობაში ან ნაბახუსევზე; დაუშვებელია ბავშვების და მოზარდების უყურადღებოდ დატოვება სანაპიროს ზოლსა და წყალში. კატეგორიულად აკრძალულია წყალში შესვლა შტორმის, უამინდობის და შეზღუდული ხილვადობის დროს.

თქვენივე უსაფრთხოდ განტვირთვისა და დასვენების მიზნით, თავი შეიკავეთ წყალში შესვლისგან იქ, სადაც არ არის მოწყობილი სანაპირო ზოლი, არ არის ხალხმრავალი ადგილი, არ დგას მიმანიშნებელი ან ამკრძალავი ნიშნები და არ არის შექმნილი უსაფრთხო ცურვისთვის შესაბამისი პირობები“, — აღნიშნულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციაში.

ნიკორწმინდაში ტაძრამდე მისასვლელი გზა წესრიგდება

სოფელ ნიკორწმინდაში ტაძრამდე მისასვლელი გზისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

სამუშაოები ორი წლის წინ დაიწყო და წელს ზაფხულში დასრულდება. პროექტი ითვალისწინებს ცენტრალური მოედნის, ღობის, ჭიშკრების, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, შენობების ფასადების რეაბილიტაციას, მცირე სკვერის მოწყობას და სუვენირების მაღაზიის, პარკინგის მშენებლობას.

პროექტი, რომლის ღირებულება ორ მილიონ ლარზე მეტია, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა დაათვალიერა.

„მსოფლიო ბანკის დახმარებით ვახორციელებთ ამ პროექტს. ასევე, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, მიმდინარეობს ჭრებალო-ნიკორწმინდის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. ეს არის 26 კმ-იანი მონაკვეთი, რომელიც რვა სოფელს აკავშირებს. ათწლეულების განმავლობაში ეს გზა, პრაქტიკულად, არ არსებობდა და მისი აღდგენა ძალიან სასიხარულოა. ყველა ეს პროექტი მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივებისთვის ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნის თვალსაზრისით, ისე რეგიონის ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვის“, — აღნიშნა მაია ცქიტიშვილმა.

რაჭაში, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის გამოყოფილია 13 მილიონ ლარზე მეტი. ამ თანხით ფინანსდება წყლისა და კანალიზაციის სისტემების, ქუჩებისა და გზების რეაბილიტაცია, ასევე — მდინარეებზე დამცავი კედლების მშენებლობა, მინი-სტადიონების მოწყობა და სხვა.

რატომ უნდა დავფიქრდეთ, სანამ ვიფიქრებდეთ?..

1

მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთხელაც ვერ მოახერხა, რომ თავისი თავი საზოგადოების თვალში სამარცხვინო ბოძზე გაეკრა.

2

თავჩამოხრჩობილის ოჯახში თოკზე არ ლაპარაკობენ, ჯალათის ოჯახში?

3

ღმერთები ერთმანეთისგან მემკვიდრეობით ატრიბუტებსა და მორწმუნეებს იღებენ.

4

რეცენზიიდან: „მისი პოეზია გამოირჩეოდა სულის კეთილშობილური სიღატაკით“.

5

სასწაულია, ამჯერად სასწაულს რომ გადავურჩით.

6

პიბო სიკვდილის შემდგომ წითლდება, მსხვერპლის მხრივ, მართლაცდა რა მისაბაძი დელიკატურობაა!

7

შეცდომა მაშინ იქცევა შეცდომად, როცა ჭეშმარიტებასავით ჩნდება.

8

შეიძლება თუ არა, რომ ბრტყელტერფიანმა კაცმა დეზი ატაროს? შეიძლება, ოღონდ არ უნდა აწკარუნოს.

9

კუდიანებმა პროცესებზე აღიარეს, კუდები ეშმაკებთან გვქონდა გადაბმულიო. პირდაპირ სისხლი გაწვება ყელში, როცა ამას იგებ! როგორ შეიძლება იძულებული გახადო კუდიანები და ამისთანა რამ აღიარებინო, როდესაც ეშმაკი არ არსებობს?! მაგრამ ამ დროს, გულისთქმა გიკარნახებს: „სიცრუეა, სიცრუე! ეშმაკი არსებობს, განა ის არ იყო ინკვიზიტორი?!“

10

გახსოვდეს, თუკი ეშმაკმა წიხლის კვრა მოინდომა, თავის ჩლიქს სულ არ გამოაჩენს, კაცის ფეხით დაგწიხლავს.

11

საშინელი სიზმარი ვნახე: სადაც უწიგნურობას გუშინ დააღწიეს თავი, დღეს იქ ბიუროკრატობა ყვაოდა და იფურჩქნებოდა.

12

ნეტავი ერთი მაცოდინა, გარდა მიზიდულობის ძალისა, კიდევ რა გვაკავებს ამ დედამიწაზე?

13

„საჭურისებს ძალიან დიდხანს შეიძლება რომ ემუსაიფო“, – ყვებოდა ერთი ჰარამხანის ბინადარი.

14

აღდგომა მხოლოდ მკვდრებს შეუძლიათ, ცოცხლებს – უჭირთ.

15

ერის ცხოვრებაში გარდატეხის ჟამს ბევრი დგას და ცხვირს იჩიჩქნის. ამას უფრო ხშირად ისინი შვრებიან, ვის ოჯახშიც ცხვირის ჩიჩქნა ცუდ საქციელად მიაჩნიათ.

16

არც ერთი საათის ისარი არ უჩვენებს, როგორ უნდა ვიცხოვროთ.

17

ყველაფერი ადამიანის ხელშია, ამიტომ ხშირად უნდა ვიბანდეთ ხელებს.

18

ადამიანი ადამიანს ვერ ეთვისება, თორემ მთა მთას ხელად უგებს.

19

წვერი წინასწარმეტყველსაც კი შეიძლება რომ ჩამოეპარსოს!

20

ფაქტი ყოველთვის შიშველია, თუნდაც უკანასკნელი მოდის მიხედვით იყოს გამოწყობილი.

21

მპერა, ადამიანი ოდესმე ნამდვილად შექმნის „ჰომუნკულუსს“, ხელოვნურ ადამიანს, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ მამაზეციერის შეცდომა დაუშვას და ახალი არსება თვითონ დაიმსგავსოს.

22

დანაშაულის დედა სიბრიყვეა, მაგრამ მამა ხშირად გენიოსი ჰყავს.

23

არამცა და არამც არ უნდა დავუშვათ, რომ ქალაქის მთელი სატრანსპორტო პარკი მხოლოდ საბარიკადოდ გამოდგეს.

24

ნუთუ უსულგულობით იმიტომ დამსაჯეს, რაკი სულის არსებობა არა მწამს.

25

პირზე რომ დააყენეს, გვამმა მკვლელი ვერ ამოიცნო.

26

წარწერა – „შესვლა აკრძალულია“ მირჩევნია წარწერას – „გასასვლელი არ არის“.

27

ყურადღება, სატირიკოსნო! აფთარნი მრუდე სარკეშიც ილესავენ თქვენზე კბილებს.

28

ყოველთვის შეიძლება ისეთი ესკიმოსის პოვნა, რომელიც კონგოს მცხოვრებთათვის ინსტრუქციას შეიმუშავებდა, როგორ უნდა მოიქცნენ ისინი პაპანაქებაში.

29

„ვგრძნობ, როგორ მეზრდება ფრთები!“ – წამოიწრიპინა თაგვმა. მერე რა მოხდა, პატივცემულო ღამურავ?

30

რომ შეიძლებოდეს სიკვდილის ნისიად გამოძინება!

31

უკვდავების პირველი პირობა სიკვდილია.

32

როცა მითი მითს ეჯახება, შეჯახება ძალზე რეალურად ხდება.

33

ღრმა აზრამდე ამაღლებაა საჭირო.

34

ან იქნებ სულაც ღმერთმა დამაკისრა თავისი ათეისტობა?

35

ზურგი თუ არა გაქვს, წელებზე ფეხს ნუ დაიდგამ.

36

შარვალი სამეფო ტახტზე ჯდომისასაც იხეხება.

37

ძროხას კაკაოც რომ აჭამო, შოკოლადს მაინც არ მოიწველება.

38

ლამაზი ვარ, ძლიერი ვარ, ჭკვიანი ვარ, კეთილი ვარ. და ეს ყველაფერი მევე აღმოვაჩინე!

39

ზოგიერთი ადამიანის წინააღმდეგ აზროვნების პროცესი უნდა აღიძრას.

40

ხანდახან გუბეც ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს.

41

იმ კაცზე ამბობენ „ლომიაო!“. მერე რა ვუყოთ, უდაბნოს ვერ გავუჩენთ, ან ცირკს უნდა ჩავაბაროთ, ან ზოოპარკს, ანდა სულაც, სამუზეუმოდ გამოვაფიტულოთ.

42

თავისუფლების სიმულირება არ შეიძლება.

43

ძალდატანების საკრავით „თავისუფლების სიმღერას“ ვერ შეასრულებ.

44

აზრები რწყილებივით დახტიან ერთი ადამიანიდან მეორეზე, მაგრამ ყველას როდი კბენენ.

45

ჯუნგლებში გადეგადაკრული კორპის ჩაფხუტები ჰ ხურავთ. ბადეებში შენიღბვის მიზნით მწვანე ფოთლებია ჩაწნული. მე ფრიგიული ჩაჩი მხურავს, ტაკიმასხარას ზანზალაკებით დამშვენებული.

46

„მხოლოდ თითით დაგემუქრები“, – მითხრა და ის თითი ჩახმახს მიადო.

47

ადამიანების დაყოფა სხვადასხვაგვარად შეიძლება, ეს ყველასთვის ცნობილი ამბავია. შეიძლება, დავყოთ ადამიანებად და არაადამიანებად. „მე კი თავებად და ტანებად ვყოფ“, – თქვა გაოცებულმა ჯალათმა.

48

ცხენებისთვის და შეყვარებულებისთვის თივას სულ სხვადასხვანაირი სუნი ასდის.

(გაგრძელება იქნება)



დაუვარცხნელი აზრები

ყველაფერი ადამიანის ხელშია, ამიტომ ხშირად უნდა ვიბანდეთ ხელებს



ასე ამბობდა სტანისლავ ეჟი ლეცი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №119

დუშანბეს სამიტი – აზიაში სახელმწიფოთა შორის მეტი ნდობისთვის

ამ დღეებში ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეში იმართება აზიაში ურთიერთქმედებისა და ნდობის ღონისძიებების კონფერენციის (Conference on Interaction and Confidence building measures/ CICA) სამიტი.

CICA-ს მოწვევა ყაზახეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის მიერ გაჟღერებული ერთ-ერთი საკმაოდ წარმატებული იდეათაგანია. კონფერენცია იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სახელმწიფოებმა აწარმოონ კონსტრუქციული დიალოგი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და გამოიმუშაონ შუა აზიაში უსაფრთხოების განმტკიცებისა და რეგიონის განვითარების ღონისძიებები. დღესდღეობით CICA-ში 27 სახელმწიფოა გაწევრიანებული. ეს ერთადერთი ორგანიზაციაა მსოფლიოში, გაეროს გარდა, რომლის წევრებადაც ერთდროულად გვევლინებიან ირანი და ისრაელი.

აზიის კონტინენტის ქვეყნებს უკვე დიდი ხანია, აქვთ მრავალი მოსაგვარებელი და საკამათო საკითხები, რომლებიც ხშირად კონფლიქტურ სიტუაციებამდე მიდის. ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა რისკის ფაქტორი იმის გამო, რომ გლობალური ეკონომიკური და სამხედრო ძალები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან შუა აზიის რეგიონით, ასევე აზიის სხვა საკვანძო რეგიონებით. ასეთ ვითარებაში ორგანიზაციის არსებობა, რომელიც პრევენციული ხასიათის შეხვედრებს აწყობს დიალოგის მიზნით, უაღრესად მნიშვნელოვანია.

აქტუალური საკითხების განხილვას თანდათანობითი ხასიათი აქვს: ჯერ განიხილავენ მცირე მასშტაბის საკამათო საკითხებს, რა გზითაც ხდება კავშირების დამყარება და კეთილი ურთიერთდამოკიდებულებისთვის პირობების შექმნა.

ეს ტაქტიკა საკმაოდ ქმედითი აღმოჩნდა. CICA-ს მოლაპარაკების მაგიდასთან ერთმანეთს ხვდებიან და მოლაპარაკებებს აწარმოებენ მანამდე შეურიგებელი ოპონენტები.

რა თქმა უნდა, CICA არ გახლავთ რაიმე ძლიერი ორგანიზაცია, რომელსაც ძალუძს, გადაჭრას ყველა წარმოშობილი პრობლემა ან დროთა განმავლობაში დაგროვილი კონფლიქტები. მისი არსებობის აზრი უფრო შუამავლობასა და განსხვავებული შეხედულებების მქონე მხარეებს შორის თანამშრომლობის დაწყებაში მდგომარეობს. კონფერენცია საამისოდ ხელსაყრელ პირობებს ქმნის, ახდენს საერთო პოზიციების მისაღწევად მიმართული ქმედებების კოორდინირებას, იგი მიუღებლად აცხადებს ძალისმიერ პოლიტიკას და ხელს უწყობს რეგიონული უსაფრთხოების გაძლიერებას, წინ აღუდგება ისეთ საფრთხეებს, როგორებიცაა ნარკობიზნესი, არალეგალური მიგრაცია, იარაღისა და ადამიანების კონტრაბანდა.

სწორედ ამ საკითხების გარშემო თანხმდებიან ქვეყნები და სოლიდარობას უცხადებენ ერთმანეთს, ამ საკითხებზე კეთდება აქცენტი. CICA-ის ყოველ სამიტზე არსებობს შესაძლებლობა, მონაწილე ქვეყნების სამართალდამცავმა და საბაჟო ორგანოებმა ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, მათ შორის, ეკონომიკურ და კიბერდანაშაულებთან მიმართებაში.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, კონფერენციის მოღვაწეობა ძირითად მიზნად ისახავს ერთიანი და ყოვლის მომცველი რეგიონული უსაფრთხოების არქიტექტურის შექმნას, რომელიც თანასწორუფლებიან თანამშრომლობაზე იქნება დაფუძნებული. გადაწყვეტილებები მიიღება ყველა მონაწილის თანხმობის შემთხვევაში, არც ერთი მხარის ინტერესი არ ზარალდება, რათა არ მოხდეს ახალი გაუგებრობებისა და კონფლიქტების წარმოშობა.

მისასალმებელია, რომ წლიდან წლამდე ფართოვდება სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის სფეროთა ნუსხა. ასე, მაგალითად, მიმდინარე სამიტზე განიხილება IT-ტექნოლოგიებთან, ენერგოეფექტურობასთან, ინფრასტრუქტურასა და საფინანსო სექტორთან, სოფლის მეურნეობასთან, მცირე და საშუალო ბიზნესთან, ჯანდაცვის, განათლების, ენერგეტიკის, ეკოლოგიისა და უსაფრთხოების სფეროებთან დაკავშირებული საკითხები.

პოლიტიკური დიალოგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ქმედითი სისტემაა სახელმწიფოთშორისი ურთიერთობების მოგვარების თვალსაზრისით. კომპრომისის მიღწევა და ურთიერთგაგება შესაძლებელი ხდება ყველაზე უფრო მწვავე და პრინციპული პრობლემების განხილვის დროსაც. ამიტომ, CICA-ის მსგავსი პლატფორმების შექმნა, რაც შეიძლება მეტი ოდენობით, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება გლობალური კონსენსუსის მისაღწევად.

რევაზ გიორხელიძე

ჩარლზი – ვეშაპების პრინცი

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ტვიტერზე გამოქვეყნებულ პოსტში, სადაც ის საუბრობდა იმის შესახებ, რომ ყოველდღიურად ხვდება სხვა ქვეყნების ხელისუფლების წარმომადგენლებს, ბრიტანეთის პრინცი ჩარლზი უელსის პრინცის **prince of Wales** ნაცვლად **prince of Whales** ვეშაპების პრინცად მოიხსენია. ტრამპი შეცდომას მალევე მიხვდა და გამოასწორა, თუმცა ტვიტერის მომხმარებლებმა შეცდომის დაფიქსირება მოასწრეს. აღნიშნულმა შეცდომამ დიდი მხიარულება გამოიწვია სოციალურ ქსელში.

არგენტინელმა მამაკაცმა 40 წლის წინათ დაკარგული ოჯახი იპოვა

არგენტინელი აქტივისტების ოჯახმა, რომელიც 1977 წელს საიდუმლო სამსახურმა ქვეყნიდან იძულებით გააძევა და შემდეგ მათი კვალი გააქრო, 40 წლის გაუჩინარებული ბავშვი იპოვა. ინფორმაციას BBC-ი

ავრცელებს. ხავიერ დაროუქს მიჟალჩუკი 4 თვის იყო, როდესაც მისი მშობლები ბუენოს-აირესიდან გაუჩინარდნენ. მოგვიანებით ის შვილად აიყვანა ოჯახმა, რომელსაც მისი წარსულის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონია. მიჟალჩუკმა რამდენიმე წლის წინათ ეჭვი შეიტანა საკუთარ წარმომავლობაში და დახმარებისთვის ადამიანთა უფლებადამცველ ორგანიზაცია „პლაზა მაიოს ბეიბებს“ მიმართა.

1976-83 წლებში არგენტინის მილიტარისტული დიქტატურის პირობებში, მისი მშობლები გარდაცვლილებად მიიჩნევიან, თუმცა ამ დრომდე მიჟალჩუკის ბიძას მისი ძებნა არ შეუწყვეტია. ორგანიზაციის დახმარებითა და დეენემ ტესტის კვლევებით, მამაკაცმა 40 წლის წინათ დაკარგული ოჯახი იპოვა. რობერტო მიჟალჩუკმა მედიასთან საუბარში აღნიშნა, რომ ის თავის ძმისშვილს 40 წელია ეძებს.

„იდენტობის დაბრუნება ჩემთვის, ჩემი მშობლებისადმი მათი სულის ხსოვნის პატივისცემაა. ეს არის სიმბოლო მეხსიერების, სიმართლისა და სამართლიანობის. 40 წლის შემდეგ ჩემმა ბიძამ მკითხა, „ხავი, ეს შენ ხარ?“, არ მგონია ოდესმე, ჩემს სიცოცხლეში, ვინმემ კიდევ შეძლოს ამაზე მეტად ჩემი აღფრთოვანება“, – აღნიშნა დაკარგულმა მამაკაცმა ჟურნალისტებთან საუბარში.

პუტინთან ვახშმობის გულისთვის... ციხე ელის

იტალიელ მსახიობს ორნელა მუტის 6-თვიანი პატიმრობა ყალბი ჯანმრთელობის ცნობის წარდგენისთვის მიესაჯა.

გამოძიების ცნობით, 2010 წლის დეკემბერში მუტიმ ქალაქ პორდენონეს ვერდის თეატრში, სადაც მას სპექტაკლში უნდა ეთამაშა, ჯანმრთელობის შესახებ ყალბი ცნობა წარადგინა. ამის შემდეგ კი უმალ სანკტ-პეტერბურგში გაფრინდა და პუტინის მიერ გამართულ ვახშამს დაესწრო. ორნელა მუტი სასჯელის თავიდან არიდებას იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ თეატრს 30 ათასს ევროს გადაუხდის.

შვეიცარიელი ქალები გაფიცვისთვის ემზადებიან

თანასწორი ანაზღაურებისა და უფლებების მოთხოვნით, შვეიცარიაში ქალები საყოველთაო გაფიცვას გამართავენ. ასობით ქალი მასშტაბური აქციის დასაწყებად ქალაქ ლოზანის კათედრალთან შეიკრიბა.

გაფიცვის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ სტატისტიკის ფედერალური სამსახურის მონაცემების მიხედვით, ქალებისა და მამაკაცების ხელფასებს შორის ჯერ კიდევ არის 20-პროცენტიანი განსხვავება და ამ მიმართულებით ვითარება 2000 წლის შემდეგ გაუარესდა. ქალებსა და მამაკაცებს შორის სახელფასო განსხვავებების წინააღმდეგ 1991 წლის 14 ივნისს შვეიცარიაში გაფიცვა 500 ათასამდე ქალმა მოაწყო.

ფრიდა კალოს უცნობი ხმა – უნიკალური აუდიოჩანაწერი

ლეგენდარული ფრიდა კალოს ხმა - უნიკალური ჩანაწერი, რომელიც მეხიკოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შემოინახა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მხატვრის ერთადერთი ხმის ჩანაწერი, რომელიც 1955 წელს ელ ბაჩილერის საპილოტე ეპიზოდიდანაა ამოღებული და რომელიც ეთერში ფრიდას გარდაცვალების (1954) შემდეგ გავიდა.

ამ ეპიზოდში ნაჩვენებია კალოს, როგორც ფერმწერის პორტრეტი და ის თავისი მეუღლის დიეგო რივერას შესახებ საუბრობს.

უთოვლო გუდაურის რეალური სახე – ქაოტური მშენებლობა, დანგრეული გზები, ტალახი, მიმოფანტული ნაგავი და...

გუდაურში ზამთრის ტურისტული სეზონი ერთი თვის წინათ დასრულდა, კურორტი სრიალის და თოვლის მოყვარულებს დაემშვიდობა და ზაფხულის სეზონისთვის ემზადება.

მთებზე და გზებზე თოვლი უკვე დადნა და გამოჩნდა გუდაურის რეალური სახე – თავისი ღირსებით – უნიკალური ლანდშაფტი და პრობლემებით – ქაოტური მშენებლობა, რომლებმაც ლამის მთებსაც დაეკარგვინა სახე, დანგრეული გზები, ტალახი, მიმოფანტული ნაგავი და...

გუდაურში ჰაერი და ბუნება ყველა დროს უნიკალურია, მაგრამ მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, შიდა ტრანსპორტის, აფთიაქების, მაღაზიების, პარკინგის, გაჩერებების და ტუალეტების არარსებობა ადგილობრივ მოსახლეობას და ტურისტებს ერთნაირად უქმნის პრობლემებს.

გზიდან გამოჩნდება თუ არა გუდაური, მაშინვე ხვდები, რომ აქ არანაირი დაგეგმარება, ან უბრალოდ არქიტექტურული ხედვა არ არსებობს. ვისაც სად მოუნდა და როგორც მოუნდა, იქ ააშენა კორპუსი თუ სასტუმრო. სამწუხაროდ, ამას უკვე აღარაფერი ეშველება, მაგრამ მომავალში ალბათ ვინმე დაფიქრდება ...

აღმართზე ფეხით ასვლის შემდეგ ჩვენი პირველი მასპინძელი საოჯახო სასტუმროა, „კომერსანტის“ მოგზაურობაც აქედან იწყება.

ნანა სეთურიძემ ცხოვრების 40 წელი კურორტის ერთ-ერთ სასტუმროში გაატარა. იხსენებს, რომ ამ ხნის მანძილზე 11 დირექტორი შეიცვალა, თვითონ კი არსად წავიდა.

გუდაურის მემატიანეს წინა წლების დღევანდელთან შედარება უჭირს, რადგან, მისი თქმით, კურორტი ყოველ წელს ვითარდება.

სწორედ გუდაურის პერსპექტივიდან გამომდინარე, ოჯახმა თბილისში ბინა გაყიდა და გუდაურში სასტუმროს აშენება გადაწყვიტა. ერთი წელია, რაც ნანა საკუთარ ჰოსტელს „დათას“ მართავს.

„ეს ერთი მივარდნილი ადგილი გახლდათ, სადაც მხოლოდ ძველი ფოსტა იყო. სასტუმრო „მარკო პოლოს“ გახსნის შემდეგ სოფლის მოსახლეობა აქეთ გადმოსახლდა, დასაქმდა და, რომ იტყვიან, საშველი დაადგა. დღესდღეობით გუდაური მე მგონი, საბურთალოს აღარ ჩამოუვარდება, ისეთი დასახლებები გაჩნდა. ეს ადგილი პერსპექტიული რომ არ ყოფილიყო, პირველ ბარს არავინ ჩაარტყამდა. ასეთი მთები და ტრასები არსად არ არსებობს. მოდიან და ამბობენ, რომ მსოფლიო დონის კურორტია. წელს მე გაცნობის წელი მქონდა, რადგან ჰოსტელი წინა წლის შემოდგომაზე გავხსენი. თუმცა, ამის მიუხედავად, მაინც ბევრი სტუმარი გვყავდა. ერთი გაჭირვებაა, აფთიაქი სეზონის დროს იხსნება და დახურვის დროს იხურება. გვაქვს „ემერჯენსი“, სადაც მოსახლეობას დიდ ყურადღებას აქცევენ, მაგრამ საავადმყოფო არაა. დიდი პრობლემაა ისიც, რომ ჩვენს ბავშვებს საბავშვო ბაღი არ გააჩნიათ. ისეთი მაღაზიები არ გვაქვს, სადაც ადგილობრივები პროდუქტს შევიძენთ. მარკეტების ფასები ტურისტებზეა გათვლილი. მინდა, გარემოვაჭრეებისთვის სივრცეები მოწესრიგდეს, რომ ყინვაში ღია ცის ქვეშ არ იდგნენ. ტურისტი რომ მოდის, პროდუქტს ასფალტზე არ უნდა ყიდულობდეს. ხალხს საშუალება უნდა ჰქონდეს, ბაზრიდან რაც მოიტანა, წესიერად გაყიდოს“, – ამბობს ნანა სეთურიძე.

გუდაურში საოჯახო სასტუმროების ფასები სეზონურად და თან ტურისტთა წარმომავლობით ისაზღვრება. მაგალითად, ქართველი ტურისტისთვის ზაფხულში ერთი ნომერი შეიძლება 50 ლარიდან იწყება, ხოლო უცხოელთათვის ეროვნული ვალუტა დოლარით იცვლება და ციფრებიც ორმაგდება, ხან სამმაგდება. ზუსტად ფასებს ვერ გვისახელებენ.

შემდეგი დანიშნულების ადგილი სასტუმრო QUADRUM-ია, რომელიც თავისი მინიმალისტური კონცეფციით გამოირჩევა. შენობა მთლიანად სატვირთო კონტეინერებისგანაა აგებული და მას პირამიდის ფორმა აქვს. აღსანიშნავია ისიც, რომ მომავალ ზამთრის სეზონს სასტუმრო დამატებითი ნომრებით, აუზითა და სპა ცენტრით შეხვდება. QUADRUM-ის მენეჯერი ელენე ჯერენაშვილი „კომერსანტთან“ საუბარში აცხადებს, რომ 2019 წლის სეზონზე ძალიან ბევრი ტურისტი ჰყავდათ. მისი თქმით, ვიზიტორები ჭარბობდნენ პოლონეთიდან და რუსეთიდან.

ელენე ჯერენაშვილი იმ პრობლემებზე საუბრობს, რომელიც ზაფხულის სეზონზე გუდაურში იქმნება.

„კარგი იქნება, თუ გუდაურში პარკები აშენდება, გაჩნდება ისეთი სივრცეები, სადაც ადამიანები სეირნობას შეძლებენ და განიტვირთებიან. ზაფხულის სეზონზე აქ არაფერი არ არის. სასტუმროს უმეტესად ერთდღიანი სტუმრები ჰყავს, ნახავენ გუდაურს და ეგრევე მიდიან, გზაზე ხომ არ ისეირნებენ. ადამიანი, რომელიც სამი დღით ჩამოდის, მეორე დღეს მოდის და მეუბნება, ვერ ვერთობიო და მესამე დღეს გუდაურს ტოვებს. თუმცა, სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულია ზამთარში, ამ დროს ტურისტები ძალიან კარგად ერთობიან და ისვენებენ“, – აცხადებს ელენე ჯერენაშვილი.

გუდაურში გადაადგილებაში ადგილობრივი ნოდარ მამულაიძე გვეხმარება. 67 წლის ტაქსის მძღოლი გვირჩევს, რომ გუდაურის გადმოსახედი ვნახოთ. ვიდრე დანიშნულების ადგილამდე მივალთ, ნოდარ მამულაიძე 2019 წლის ზამთრის სეზონს აჯამებს და ამბობს, რომ წინა წელთან შედარებით წელს გუდაურში უფრო ნაკლები ტურისტი იყო.

„ამ სეზონზე ტურისტები დიდი რაოდენობით არ ყოფილან. ჩემი აზრით, ამის ერთ-ერთ მიზეზი შარშანდელი საბაგიროს ინციდენტია, რომელმაც ადამიანები ცოტა დააფრთხო. წელს უმეტესად იყვნენ პოლონეთიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან, თუმცა, იყვნენ აზიის ქვეყნებიდანაც. აქ 1000 ვინმეს შეხვდები, რეკლამები კეთდება და ტურისტები მოიზიდეს. ტურისტებთან ხშირი შეხება მაქვს და მათ უმეტესობას პრეტენზიები გზასთან დაკავშირებით აქვს. მე ვატყობ, რომ კურორტი ევროპის დონეს უახლოვდება, აქამდე ნაგავს შუა გზაში ყრიდნენ, ახლა ადგილობრივიც და ტურისტიც ცდილობს, სუფთა გარემო შეინარჩუნოს“, – მიყვება ნოდარ მამულაიძე.

როგორც ჩანს, ზაფხულის სეზონზე გუდაურის გადმოსახედი ტურისტების ერთ-ერთ ფავორიტ ადგილად ითვლება. ეს ადგილი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში აშენდა, მაგრამ წლების განმავლობაში მიტოვებული იყო და მისი რეკონსტრუქცია შარშან დასრულდა.

ადგილზე ძალიან ბევრი ტურისტი დაგვხვდა. დაგვხვდნენ ადგილობრივებიც. მანქანიდან გადმოსული არ ხარ და უკვე გთავაზობენ პარაპლანით ფრენას, კვადროციკლით გასეირნებას, ქართულ თაფლს და ჩურჩხელას. ტერიტორიაზე, სადაც უამრავი ადამიანი ერთმანეთში ბუზებივით ირევა, პირველი, რაც თვალში გხვდება, მოუწესრიგებელი ნაგავსაყრელებია.

ადგილობრივები კამერასთან საუბარს გაურბიან. ყველა მათგანი ამბობს, რომ ზამთრის სეზონი წარმატებული იყო და ზაფხულშიც უფრო მეტ ტურისტს ელოდებიან..

გიორგი სოფელ ნაღვარევიდანაა. გუდაურის გადმოსახედის ტერიტორიაზე სახლში დამზადებულ ფაფახებს საშუალოდ 25 ლარად ყიდის. ამბობს, რომ ზამთარში ძალიან ბევრი ტურისტი იყო, ახლა კი მათი რიცხვი საგრძნობლად შემცირდა და, შესაბამისად, მისი საარსებო შემოსავალიც შემცირებულია.

ნინო ბებო 3 წელია, გუდაურში სახლში დამზადებულ ჩურჩხელას, თაფლს, ხილს და თხილს ყიდის. ამბობს, რომ ტურისტები ყველაზე მეტად ჩურჩხელას ყიდულობენ.

„კმაყოფილი ვართ წლევანდელი სეზონით, რადგან ბევრი მომხმარებელი გვყავს და ყაზბეგის რაიონი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა კარგად ვიყოთ“, – აცხადებს ნინო ბებო.

რა თემებზე საუბარიც არ უნდათ ადგილობრივებს, საუბრობენ ტურისტები. ყველა მათგანი გაკვირვებულია გუდაურის სილამაზით, თუმცა, გაოცებულები არიან იმ ინფრასტრუქტურული პრობლემებით, რომელიც, მათი თქმით, ევროპული დონის კურორტზე ხვდებათ.

ავსტრიელი ტურისტი

ძალიან საინტერესო ადგილია. მომწონს ბუნება და, ალბათ, აქ სრიალი ძალიან სასიამოვნოა. აქამდე მოსასვლელი გზებიც ძალიან ლამაზია, თუმცა არ მომწონს ის, რომ ირგვლივ ნაგავი ყრია. ხდება ხოლმე, როცა ადგილს ბევრი ადამიანი სტუმრობს, მაგრამ იქნებ მეტი სანაგვე ურნები დაიდგას, რომ ნაგავი ქუჩაში არ მოისროლონ.

პოლონელი ტურისტი

გუდაურში ეს დიდი მთები მომწონს, საქართველოში კი – ყველაფერი. განსხვავებული ლანდშაფტებია – მთებით დაწყებული, უდაბნოს მსგავსი გარემოთი დასრულებული. თუმცა კარგი იქნება, თუ აქამდე მოსასვლელ გზას უკეთ გააკეთებენ.

შოტლანდიელი ტურისტი

გუდაური ულამაზესია. გუშინ ჩამოვედით და ბევრი არაფერი გვინახავს. ვფიქრობ, ზამთარში აქ გაცილებით კარგი დროის გატარება იქნება შესაძლებელი, ამიტომ აუცილებლად ჩამოვალ ზამთარშიც.

გერმანელი ტურისტი

ძალიან მომწონს ეს ადგილი. საოცარია და დიდად განსხვავდება ქვეყნის დანარჩენი ნაწილისგან. რამდენიმე წლის წინათ ჩემი მეგობრები იყვნენ საქართველოში და ძალიან მოეწონათ, ამიტომაც ჩამოვედი. ძალიან მომწონს სამზარეულო და ლანდშაფტები.

რუსუდან ნაზღაიძე X გუდაურის წარმომადგენელია. კომპანია ტურისტებს პარაპლანის და კვადრო ტურებს სთავაზობს. რუსუდან ნაზღაიძე გვიყვება, რომ ექსტრემალური სპორტის ფასი ტურისტის ეროვნების მიხედვით იცვლება. მაგალითად, ქართველ მოგზაურს პარაპლანით ფრენა 150 ლარი დაუჯდება, ხოლო უცხოელ ტურისტს ამ მომსახურებაში 250 ლარის გადახდა მოუწევს.

„2019 წელი აქტიურად დაიწყო, ბევრი ტურისტი გვყავდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სეზონმა კარგად ჩაიარა – უამრავი ფრენებით და უამრავი ტურისტით. ახლა არის გარდამავალი პერიოდი, მაგრამ, სეზონი აქტიურად გრძელდება. ივლისიდან კიდევ უფრო მეტ ტურისტს ველოდებით. პარაპლანზე მოთხოვნა ძირითადად ჰქონდათ არაბ, ჩინელ და იაპონელ ტურისტებს. ჩვენი სტუმარ-მასპინძლობა ყველას მოსწონს და ამბობენ, რომ საქართველოს კიდევ ესტუმრებიან“, – აცხადებს რუსუდან ნაზღაიძე.

„კომერსანტთან“ 2019 წლის ზამთრის სეზონი შეაჯამა კაფე „მეგობარო“-ს დამფუძნებელმა გოგა ფიფიამ. მისი თქმით, 2019 წლის ზამთრის სეზონი წინა წელთან შედარებით გაცილებით უკეთესი იყო.

„გუდაური ინფრასტრუქტურულად ახალ სეზონს ბევრად გამართული შეხვდა, ყოველგვარი ექსცესების გარეშე. ამინდმა ხელი ძალიან შეგვიწყო. ჩემი აზრით, ტურისტების ნახევარი რუსეთიდან იყო, ბევრი ტურისტი გვყავდა პოლონეთიდან, ლიეტუვადან და ლატვიიდან. ასევე გვსტუმრობდნენ დასავლეთ ევროპიდანაც, რაც ძალიან სასიხარულოა. იქიდან გამომდინარე, რომ გზები დიდთოვლობის გამო ხშირად დაკეტილი იყო, გარკვეულ პროდუქტებზე დეფიციტი შეიქმნა, მაგრამ ეს გათვალისწინებული გვქონდა, ამიტომ პრობლემები არ შეგვქმნია. ჩემი აზრით, გუდაურის ყველაზე დიდი პრობლემა არის გზა, რომელიც ყოველ წელს ფუჭდება“, – აცხადებს გოგა ფიფია.

როგორც გუდაურელები გვეუბნებიან, გაზისა და წყლის პრობლემა დაბაში მოგვარებულია.

წყალი შარშან გაიყვანეს და 24 საათის განმავლობაში უწყვეტად გვაქვს, აქამდე დატანჯულები ვიყავით, – გვიყვება ადგილობრივი დავითი.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, გუდაურში ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახალ წყალსაცავს აშენებს, იქაურები ამბობენ, რომ მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს, მაგრამ ცუდი გზის გამო ჩემი ტაქსის მძღოლი ჩასვლას ვერ რისკავს.

იმ გზაზე მანქანას ვერ გავაფუჭებ, – მეუბნება ნოდარ მამულაიძე.

ასეთია ჩვენი თვალით დანახული თოვლის საფარის გარეშე დარჩენილი გუდაური.

ვიდრე სამარშრუტო ტაქსით თბილისისკენ მომავალ, ორმოებით დატვირთულ ტრასას მოვუყვებიდი, ტელეფონით ყაზბეგის მერ ალექსანდრე ზაგაშვილთანაც მოვასწარი გასაუბრება.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი მიდასტურებს, რომ ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი კურორტის ცენტრალური და შიდა გზაც ნამდვილად მოუწესრიგებელია, მაგრამ უკვე გამოცხადებულია ტენდერები და გზების მშენებლობა უახლოეს პერიოდში დაიწყება. ასევე იწყება კანალიზაციის სისტემის მოწესრიგება, რაც ამ წლის ბოლოს უნდა დასრულდეს.

ერთი სიტყვით, სანამ კურორტი ახალი, 2020 წლის ზამთრის სეზონისთვის მოემზადება, რომელიც ზაფხულის სეზონთან შედარებით გაცილებით მომგებიანი და ხალხმრავალია, გუდაური ტურისტების ყურადღებას უნიკალური ლანდშაფტით მიიქცევს. აქ ისევ თოვლს დაელოდებიან...

ბაჩო ადამია

◎ ქულათა მაქსიმუმით

ბრიტანელთა ჯერიც დადგა

როგორც მოგეხსენებათ, თბილისში მიმდინარე IHF-ის ერთა ჩემპიონატის საუკეთესო შედეგის მქონე ევროპული გუნდი კონტინენტის პირველობის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურს ავტომატურად მოიპოვებს. ამდენად, ჯგუფური ტურნირის ფინიშზე ბულგარელებთან მოპოვებულ დამაჯერებელ გამარჯვებას — 35:19 ნიკოლა მაქსიმოვიჩის გაწვრთნილთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. „ჯვაროსნებმა“ ხუთ შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმი მოაგროვეს. და დღეს სპორტის სასახლეში 18 საათზე ნახევარფინალში ბრიტანელებს გამოცდიან, ხოლო 20 საათზე სარბიელზე კუბისა და ბულგარეთის ნაკრებები გამოვლენ.

საბოლოო სატურნირო მდგომარეობა: „ა“ ჯგუფი. კუბა — 10, ბრიტანეთი — 8, ჩინეთი — 6, კოლუმბია — 4, აზერბაიჯანი — 2, ინდოეთი — 0 ქულა.

„ბ“ ჯგუფი. საქართველო — 10, ბულგარეთი — 8, აშშ — 6, ნიგერია, ირლანდია — 3-3, მალტა — 0 ქულა.

საქართველო: თევზაძე, ცინცაძე, ცხოვრებაძე — 7, ორჯონიკიძე — 4, არსენაშვილი — 4, მიქავა — 4, ჩიქოვანი — 3, გოგოლაძე — 3, კალანდაძე — 3, კბილაშვილი — 2, დიხამინჯია — 2, რუსტამოვი — 1, მერკვილაძე — 1, იმნაძე — 1 გოლი.

კობა კობახიძე

საფეხბურთო მოზაიკა

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ვაკო გვილია პოლონურ კარიერას 8-ნომრიანი მაისურით ვარშავის „ლეგიაში“ გააგრძელებს. როგორც მოგეხსენებათ, შვეიცარიული „ლუცერნის“ საკუთრებაში მყოფმა „ჯვაროსანთა“ საყრდენმა ნახევარმცველმა შარშანდელი სეზონი ზაბჟეს „გურნიკში“ გაატარა, ამდენად, კიდევ უფრო პოპულარულ იქაურ კლუბში 2-წლიანი კონტრაქტით გადასვლა წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ.



ერთა ლიგის ნახევარფინალში საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქე ბელარუსი უმწვრთნელოდ დარჩა.

მიზეზი ბანალურია — ეს გუნდი ევრო 2020-ის შესარჩევ ციკლში ზედიზედ 4 წაგებით ჩაება და იგორ კრიუშენკოც სწორედ ამიტომ შეუერთდა უმუშევართა არმიას.

ჩვენგან განსხვავებით, სლავები ისეთ გრანდებთან დამარცხდნენ, როგორიცაა გერმანია, ჰოლანდია და ორჯერ — ჩრდილოეთ ირლანდია, მაგრამ...

უკვე გაუწყეთ, რომ რამდენიმე დღის წინათ მადრიდის „რეალმა“ ფრანკფურტის „აინტრახტის“ სერბი ბომბარდირი მარკო იოვიჩი დაიმატა. და აი, „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესის მიერ განხორციელებული კიდევ უფრო ხმაურიანი ტრანსფერი — ამიერიდან „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ლონდონის „ჩელსისგან“ 150 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეძენილი 28 წლის ბელგიელი შემტევი ედენ აზარი ითამაშებს.

უახლოესი სამი კვირის განმავლობაში ფეხბურთის მოყვარულთა განსაკუთრებული ყურადღება ბრაზილიისაკენ იქნება მიპყრობილი, სადაც 7 ივლისის ჩათვლით 46-ე კოპა ამერიკა გაიმართება.

„ა“ ჯგუფი. ბოლივია, ბრაზილია, პერუ, ვენესუელა.

„ბ“ ჯგუფი. არგენტინა, კოლუმბია, პარაგვაი, ყატარი.

„გ“ ჯგუფი. ჩილე, ეკვადორი, იაპონია, ურუგვაი.

პლანეტის უძველესი ტურნირის მატჩებს 5 ქალაქის — სან-პაულუს, პორტუ ალეგრის, ბელუ ორიზონტის, სალვადორისა და რიო დე ჟანეიროს სტადიონები უმასპინძლებს, ფინალი კი განთქმულ „მარაკანაზეა“ დანიშნული.

შეგახსენებთ, რომ კონტინენტის 10 ქვეყნიდან 8-ს, ეკვადორისა და ვენესუელის გარდა, მინიმუმ ერთხელ მაინც აქვს მოპოვებული გამარჯვება. მათგან ყველაზე მეტჯერ ტიტულს ურუგვაი — 15-ჯერ, არგენტინა — 14-ჯერ და ბრაზილია — 8-ჯერ დაეუფლნენ.

გულშემატკივარს, ალბათ, ისიც დაინტერესებს, რომ პოპულარული ფორუმების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი 17-17 გოლით არგენტინელი ნორბერტო მენდესი და ბრაზილიელი ზიზინიო არიან.

და ბოლოს: ტრავმირებული ნეიმარის არყოფნაში ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებულ ლეო მესის კიდევ ერთი შანსი ეძლევა პირველი ტიტული ეროვნულ ნაკრებშიც მოიპოვოს — მან ხომ პენალტების სერიაში ჩილესთან ბოლო ორი ფინალი წააგო.

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ბრძოლამან შენმან...

ხომ გსმენიათ — მოყვარეს პირში უძრახეო. ჰოდა, ადგა ეს ჩვენი პოპულარული სარაგბო ვებ-გვერდი რაგბიპასს კომ. და არგენტინაში მიმდინარე 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე „ახალგაზრდა ბორჯღალოსანთა“ თამაშს ჯგუფურ ეტაპზე, მათ შორის შოტლანდიასთან მოპოვებული გამარჯვებას, საკმაოდ ობიექტური, ავ-კარგიანი სტატია უძღვნა: **„დომინანტური შერკინება და რკინასავით ძლიერი წინა ხაზი უკვე დიდი ხანია, რაც ქართული რაგბის მთავარი კოზირებია, მაგრამ კავკასიელებმა კრეატიულობითა და საშემსრულებლო ოსტატობით უკანა ხაზშიც გაგვაკვირვეს, რაც მათი ძლიერი მხარე ბოლო წლებში ნამდვილად არ ყოფილა.**

რაც შეეხება პერსპექტივას, მსოფლიო ელიტაში მოსახვედრად „ბორჯღალოსნებმა“ ორი მნიშვნელოვანი სათამაშო პოზიციის გაძლიერება უნდა მოახერხონ. მათ უფრო ათლეტური მეორე და უკანა ხაზი სჭირდებათ და ასევე სასურველია უფრო მოძრავი და სწრაფი გარემარბები ჰყავდეთ.

ახალგაზრდა მორაგბეებს კიდევ დასჭირდებათ დრო, რათა საერთაშორისო სტანდარტებს გაუტოლდნენ და ეროვნულ ნაკრებში დაწინაურდნენ, თუმცა, ქართული რაგბის განვითარების ტემპი იმის მანიშნებელია, რომ მას წინ ნათელი მომავალი აქვს“.

ბეჭან დოლიძე

◎ კანადის სახელით!

კალათბურთის სამშობლო უტიტულოდ დარჩა

პროფესიულ სპორტში ახალი სისხლის გადასხმის პროცესი დაიწყო — თუ გუშინ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში „სენტ ლუის ბლუზის“ პირველი ტრიუმფის შესახებ გაუწყეთ, დღეს იგივე მისიას ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში კანადური ერის დასაბამთან დაკავშირებით ვასრულებთ.

დიახ, „ტორონტო რეპტორზმა“, „ნეკერჩხლის ფოთოლთაგან“ პირველმა, კალათბურთის სამშობლო ამერიკის შეერთებული შტატები უტიტულოდ მას შემდეგ დატოვა, რაც ფინალური სერია დასკვნით რაუნდში ზედიზედ მეხუთედ გასულ სამგზის გვირგვინოსან „გოლდენ სტეიტს“ 4:2 მოუგო (ბოლო მატჩი) სტუმრად 114:110.

ბევრს მიაჩნია, რომ ფრანგულენოვანი პროვინციის წარმომადგენელთა აღზევება მხოლოდ სეზონის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ (MVP) მიჩნეული კავაი ლეონარდის დამსახურებაა, მაგრამ მთლად მასე რომ არაა საქმე, გადამწყვეტმა შეხვედრამაც დაადასტურა, სადაც გუნდის ლიდერმა მხოლოდ 22 ქულა მოაგროვა, მისმა პარტნიორებმა — პასკალ სიაკამმა და კაილ ლოურიმ კი — 26-26.

კვებეკელთა არნახულ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აგრეთვე ლეონარდთან ერთად იქ „სან ანტონიოდან“ გადაბარგებულმა ვეტერანმა სნაიპერმა დენი გრინმა და მარკ გაზოლმა, რომელმაც სერჟ იბაკასთან ერთად ფარქვეშ გაუვალი წყვილი შექმნა. შეგახსენებთ, რომ ლეგენდარული ესპანელი ცენტრის პაუ გაზოლის ძმა კანადურმა კლუბმა რეგულარული სეზონის დროს „მემფისს“ უნიჭიერეს ლიეტუველ გიგანტ იონას ვალანჩუნასში გაუცვალა, რომელიც დაცვაში მოიკოჭლებს.

რაც შეეხება „მეომრებს“, მათთვის აუნაზღაურებელი დანაკლისი აღმოჩნდა კევინ დურანტის ტრავმა, რაც ოკლენდში დადგმულ „გედის სიმღერაში“ კლეი ტომპსონისა (30 ქულა) და სტეფ კარის (21 ქულა) შედეგიანობამაც კი ვერ გადაფარა.

ვიტალი ჯაფარიძე

სანთელი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები და ონის „მამისონი“ თანაუგრძნობენ მწუხარებაში ამ გუნდის ვეტერან ფეხბურთელს დემნა აბაიშვილს მამის

გურამ აბაიშვილის

გარდაცვალების გამო.

არდავიწყება

ჩემი ირაკლი – სიკეთის ეტალონი

დიდი ხანი არ არის, რაც ჩემი უფროსი მეგობარი, აკადემიკოსი **ირაკლი ჟორდანია** გაენერიდა წუთისოფელს, ის მაღალი ზნეობის, დიდი ბუნებისა და სიკეთის განსახიერება გახლდათ!



ჩემი ირაკლი ბუნებამ უხვად დააჯილდოვა გარეგნობით, ნიჭიერებით, კეთილგონიერებით, კეთილსინდისიერებით, გულწრფელობითა და გასაოცარი თანადგომის უნარით. მან შესანიშნავად იცოდა მეგობრობის ფასი, ყველასთან ინარჩუნებდა კეთილგანწყობილ ურთიერთობას, გულწრფელად იზიარებდა მოყვასის სატკივარს...

დადიოდა თავის სათაყვანებელ ქალაქში აღნაგი და სახენათელი, თხემით ტერფამდე ქართული გენისა და ჯიშის, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული კაცი.

რაფინირებული, დახვეწილი ინტელიგენტი, ზნეკეთილი, სასიამოვნო მოსაუბრე, რომელიც სიკეთის ეტალონი იყო.

სიდინჯე, შინაგანი კულტურა, მომხიბვლელობა, დარბაისლური მსჯელობა იყო მისი მახასიათებელი.

მან ცხოვრებაში რთული, მაგრამ მეტად საინტერესო გზა განვლო, სამშობლოსა და ხალხის ინტერესებისადმი ბოლომდე ერთგული დარჩა.

ირაკლიზე ბევრი მაქვს მოსაგონარი, მასზე ბევრი კარგის თქმა და გახსენება შემიძლია. ის დიდი ადამიანი იყო, დიდ ადამიანებთან მეგობრობა კი უფლის წყალობაა. ის ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს ჩვენს ურთიერთობას — ჩვენმა მეგობრობამ ათეულ წლებს გაუძლო.

მიუხედავად იმისა, რომ მას სრულიად ახალგაზრდას მიანიჭეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდო — ლენინური პრემია მეტალურგიაში, ის როგორც თავმდაბალი, მოკრძალებული და უპრეტენზიოც იყო მანამდე, ისეთივე დარჩა ცხოვრების ბოლომდე!

ჩვენ 1980 წელს ერთად ვიყავით მიწვეული მოსკოვში — სახალხო მეურნეობის აკადემიაში, მას ჰქონდა უნარი, ნებისმიერი საკითხი განეხილა მხოლოდ სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით. მეცნიერების კორიფეებს, რომლებიც ლექციებს გვიკითხავდნენ და სემინარებს გვიტარებდნენ, აკადემიკოსებს, საკავშირო მინისტრებსა თუ კომიტეტის თავმჯდომარეებს, ყველას ხიბლავდა მისი მსჯელობა ქვეყნის პრობლემატურ საკითხებზე. ის მაშინ საქართველოს საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო, მე კი — მშენებლობის მინისტრის მოადგილე.

ორჯერ ვისვენებდით ერთად „კარლოვი ვარში“. ურთიერთობაში ის ყოველთვის ამჟღავნებდა დიდ სითბოს, სიყვარულსა და პატივისცემას ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ.

ირაკლის არ უყვარდა თავისი დაბადების დღეების აღნიშვნა, მაგრამ ცოტა ხნის გასვლის შემდეგ ვიწრო წრეს აუცილებლად შეგვკრებდა და მოგვეფერებოდა!

1982 წელს ჩემს ორმოცი წლის იუბილეზე მოსკოვში, სადაც აკადემიის სახელგანთქმული მეცნიერები მყავდა მოწვეული, აღფრთოვანებით და ხაზგასმით აღნიშნავდნენ მის ბრწყინვალე თამადობას.

მე ვიცნობდი მის სანათესაოს, როგორც უსათნოესი და ულამაზესი დედის, ასევე მამის მხრიდან. ეს ღირსეული ხალხი მაღალი ინტელექტით, წიგნიერებითა და შესანიშნავი გარეგნობით გამოირჩეოდა (მინდელები, აბაშიძეები, ჟორდანიები).

მისმა შესანიშნავმა ერთგულმა მეუღლემ ლალიმ თავდაუზოგავად იბრძოლა ირაკლის სიცოცხლის გადასარჩენად, მაგრამ...

ერთადერთმა სათაყვანებელმა ქალიშვილმა თათიმ, რომელიც ამჟამად უცხოეთში ცხოვრობს, სწორედ იმ დღეებში, როცა ირაკლი გარდაიცვალა, ქვეყანას მოავლინა ვაჟი. უზომოდ სამწუხარო და გულდასაწყვეტია, რომ ვერ მოესწრო ნანატრ პირველ შვილიშვილს, რომელსაც მოუთმენლად, დიდი სიყვარულითა და სიხარულით ელოდა.

ჩემო ირაკლი, შენი შვილიშვილი რომ წამოიზრდება, მოვიყვან შენს საფლავთან, სანთელს დაგინთებ და ვუამბობ ბაბუის კეთილგონივრულ და სასახელო საქმეებზე...

თითქმის ყოველდღე ვსაუბრობდით. ორი-სამი დღე თუ არ შევეხმიანებოდით ერთმანეთს, დამირეკავდა და ხუმრობით მისაყვედურებდა — არ გრცხვენია, ომარ? სად ხარ, რატომ დაიკარგეო!..

საღამოს ტელეფონის ზარზე, წამიერად გამიელვებს აზრი — ირაკლი ხომ არ რეკავს...

მენატრება შენი ბუბუნა ხმის გაგონება, ჩემო ირაკლი!

რა ვქნა, ძალიან მაკლიხარ, უშენობას ვერ შევეგუე!

ღმერთო, უმრავლე ჩემს სამშობლოს ირაკლის სადარი ღირსეული პიროვნებები, თხემით ტერფამდე ჭეშმარიტი მამულიშვილები!..

ომარ მარგველაშვილი

ვან დაიკის ყავისფერი პრინტები

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ქარვასლა) ლიეტუვის საელჩოს ხელშეწყობით გაიხსნა საულიუს პაუკშტიტის (Saulis Paukstys) ფოტოგამოფენა „ვილნიუსის სცენები — ვან დაიკის ყავისფერი პრინტები“.

გამოფენას სიმბოლურად შეიძლება დროის მანქანაც ეწოდოს — გამოსახულებები ერთმანეთთან აკავშირებენ წარსულსა და მომავალს და ქმნიან უნიკალურ გამოცდილებას, რომელიც აერთიანებს ისტორიულ მეხსიერებასა და დღევანდელი ფოტოგრაფიის მიერ მოთხრობილ ამბებს.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი ფოტოები, რომლებიც ასახავენ ვილნიუსის შენობებსა და კომპოზიციებს შუა საუკუნეებიდან, დაბეჭდილია ვან დაიკის უნიკალური ტექნოლოგიის გამოყენებით, რომელიც ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში დაპატენტდა. ხელნაკეთი ქაღალდი იფარება ვერცხლის ნიტრატის შემცველი ემულსიით, რომელიც შემდგომ თავსდება ულტრაიისფერი გამოსხივების ქვეშ. ეს ტექნოლოგია მგრძნობიარეა ქიმიური ნივთიერებების პროპორციებისა და ქაღალდის ხარისხის მიმართ.

ამ კომპლექსური პროცესის დამსახურებით, თითოეული პრინტი უნიკალურია და ქაღალდის ტექსტურა მათ თითქოს გრაფიკული ნამუშევრების იერსახეს აძლევს.

რევაზ თოფურია

სანთელი

დიმიტრი გორგიშელი



პურპროდუქტების დარგს დააკლდა შესანიშნავი პროფესიონალი, მაღალი დონის ინჟინერი, შპს „იფქლი დიღომის“ ინჟინერ-ტექნოლოგი **დიმიტრი გორგიშელი**. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი ქიმიისა და კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე სწავლების პერიოდში (1972-73 წლებში) პარალელურად მუშაობდა თბილისის №6 პურის ქარხანაში ცვლის უფროსად. იმუშავა პურპროდუქტების სახელმწიფო ინსპექციაში, საქსტანდარტში. იგი მაღალი დონის, ღრმა ცოდნის პროფესიონალი გახლდათ. 2018 წელს გაეროს განვითარების პროგრამისა და განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებულ კონკურსში სწორედ მისი თანამშრომლობით შექმნილი სახელმძღვანელო პურპროდუქტების დარგში იქნა მიჩნეული საუკეთესოდ.

დიმიტრი ტრაგიკული პიროვნება გახლდათ, რადგანაც ახალგაზრდა შვილი მოულოდნელად გარდაეცვალა, რამაც აუნაზღაურებელი დარტყმა მიაყენა ამ კეთილშობილ პიროვნებას და მის ოჯახს.

ყოველთვის მოვიგონებთ ჩვენს კოლეგას.

ნათელში იყოს მისი სული.

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი

დაკრძალვა 15 VI, გამოსვენება კუკიის წმინდა ნინოს სახ. ტაძრიდან 15 საათზე.

ლიზი ბუდაღაშვილის პოეტური მისტერიები

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (თბილისის ისტორიის მუზეუმი) ახალგაზრდა, მაგრამ სახელმოხვეჭილმა ხელოვანმა ლიზი ბუდაღაშვილმა მორიგი პერსონალური გამოფენა „პოეტური მისტერიები“ წარადგინა.

ლიზი ბუდაღაშვილი ახალგაზრდა ნიჭიერი ხელოვანია, რომელიც ხატავს, უკრავს, ქმნის მუსიკას, წერს ლექსებს და ნოველებს, აწყობს პერფორმანსებს, დიდი შთაგონებით კითხულობს ლექსებს და სხვა. ყველა ამ დარგში ის საერთაშორისო კონკურსების მრავალგზის ლაურეატია... რამდენიმე კვირის წინათ ის გახდა ესმა ონიანის სახელობის პირველად ჩატარებული კონკურსის პირველი გამარჯვებული ფერწერაში. ერთი წლის წინ მან წარმატებული გამოფენა მოაწყო ვანაძორის (სომხეთი) ხელოვნების მუზეუმში.

ლიზი ბუდაღაშვილი საკუთარ შინაგან ენერგიას ახარჯავს ადამიანების გამოსახვას. მის ნამუშევრებში ვხვდებით პორტრეტებს, ავტოპორტრეტებს, აბსტრაქტულ კომპოზიციებს ადამიანის ფიგურის მონაწილეობით, ინტერიერს, სადაც იგრძნობა ხელოვანის მიერ ადამიანის შემეცნების სურვილი. პორტრეტებში ავტორთან მსგავსება იგრძნობა. ადამიანის მისტიკას იგი პირველ რიგში საკუთარ თავში ეძებს, რადგან საკუთარი „მე“ ყველაზე მისტიკური სუბიექტია ადამიანისთვის.

პროექტში წარმოდგენილი ნამუშევრები ბოლო ერთი წლის განმავლობაშია შექმნილი და მათი უმეტესობა პირველად იფინება ფართო საზოგადოების წინაშე.

რევაზ თოფურია

კვლავ დავარისხოთ ზარები!

ორმოცი წელიწადი გავიდა შინმოუსვლელთა მემორიალთან ჩემი და ჩემი თანაგუნდელების მიერ „კაკაბეთის ზარების“ დარისხების შემდეგ და, სოლიდური ასაკის მიუხედავად, ისევ შევეცდები, მივეახლო დედოზარს, რათა კვლავ აგუგუნდეს საქართველოს ყველა ზარი, რომელიც ერთ მუშტად შეგვკრავს, რომ საქართველო იმ ურჩხულისგან ვიხსნათ, ვინც დღეს შვილებს ისევე გვტაცებს, ჩვენთვის საამაყო ადამიანების შვილებს.

გამოგიტყდებით და ვიტყვი, დღეს ჩემი დაბადების დღეა, 85-ისა შევსრულდი, მაგრამ ყველა ნაცნობ-მეგობარს საგანგებოდ ვთხოვე, არ მოელოცა.

რა გვაქვს მოსალოცი და საზეიმო, როდესაც შინაასლილობითა და მავანთა მიერ პირველკაცობისკენ სწრაფვით დაუძლურებულ საქართველოს უმძიმესი ჟამი უდგას: შვილებს კვლავ გვტაცებენ, თანაც მხოლოდ ბავშვებს კი არა, ზრდასრულ შვილებს, რომლებსაც ტვინს ულაყებენ და მანქურთებად აქცევენ.

ახალშეღერებულ უკეთილშობილეს ყმაწვილს ბუტა რობაქიძეს კარგად ვიცნობდი. ის ხშირად სტუმრობდა თბილისში მეგობრობის გამზირის 26 ნომერში პირველ სადარბაზოს, სადაც ამ კორპუსის აშენების პირველი დღიდანვე ჩემი კარის მეზობელი გახლდათ ჯემალ ჯანელიძე, ვისთანაც ბუტას ორი მამიდა, მამა – ბატონი სოსო და მამის ტყუპისცალი ბიძა გაიზარდნენ.

არც სულგანათლებულ ლევან სანიკიძესთან ვიყავი შორს. ამას დაადასტურებს ყველა, ვინც ჩემთან ერთად ჟურნალისტობდა „თბილისში“, „ქუთაისსა“ და ჩემი რედაქტორობით გამომავალ რამდენსამე გაზეთში. ამიტომ მეცა პირკატა, როდესაც ვუსმენდი ირაკლი ოქრუაშვილის გვერდით მდგომსა და უკვე კარგა ხნის წინათ მილიონებს დახარბებულ გუბაზ სანიკიძეს – ჩემთვის უსაყვარლესი კაცის შვილს, რომელიც ისევე „მოგვპარეს“, როგორც 40 წლის წინათ სარიშვილების ოჯახის 12 წლის ვაჟი, გამტაცებელს კაკაბეთში, საკუთარ სახლში რომ ჰყავდა გამომწყვდეული.

ვერ გაპატიებ, გუბაზო!

„ორპირი, ფლიდი და უნდო!“–
ასეთად მიჩანს მუდამ ის,
ვინც იარალი ჩაუდო
და სისხლი შესვა ბუტასი.
ახლაც ჩამესმის კივილი
და მეხი დამცეს ლამისა,
ვისაც არ ესმის ტკივილი
უღვთოდ შვილმოკლულ მამისა.
ჰოდა, მაგ ღიპის მოშვებით,
და გარეწარის დროშებით
ნუ მატრაბაზობ, ნუ ბაზრობ!
უკვე წავიდა დრო შენი
„რევოლუციურ“ როშვებით
და დიდი მამის შერცხვენას,
სულგაყიდულსა ვერცხლებად,
ვერ გაპატიებ, გუბაზო!

ალექსანდრე შენგელია,
რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი,
საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,
ღირსების ორდენოსანი, ქუთაისისა და ხევსურთა
სოფელ თეთრი წყლების საპატიო მოქალაქე.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად ულოცავს გამორჩეული ხელწერის ჟურნალისტს, პოეტსა და უკეთილშობილეს ადამიანს ალექსანდრე შენგელიას დაბადების დღეს! მხნედ, მართლა უბერებელო მეგობარო და თანამოკალმევ!

76 წელი სამშობლოს „ჭირისუფალი“

ანზორ ბაბუხადიას ოჯახს ულოცავენ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი დიდი მონატრებითა და პატივისცემით ულოცავენ დაბადებიდან 76 წლის თარიღს (ა. წ. 16 ივნისს) დაუვიწყარ, ახლახან გარდაცვლილ, ჩვენი ქვეყნის „კაი ყმათა“ ჭირისუფალსა და ეკონომიკის დიდ ქომაგს, გაზეთ „თანადგომის“ დამფუძნებელსა და ჭეშმარიტად დიდებულ მამულიშვილს, ძმობის, მეგობრობისა და ადამიანური ურთიერთობების გამორჩეულ „უსტაბაშს“, მთელი საქართველოს უსაყვარლეს კოლორიტსა და უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

ანზორ ბაბუხადიას

იმის ოჯახს კი გამძლეობას, გაძლიერებასა და გამრავლებას ვუსურვებთ!..

რომი ქართული კინოს დღეებს უმასპინძლებს

16-18 ივნისს რომი უმასპინძლებს ქართული კინოს დღეებს. ღონისძიებას ორგანიზებას უწევენ საქართველოს საელჩო იტალიის რესპუბლიკაში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ეროვნული კინოცენტრი. ასევე, პროექტის მხარდამჭერია სახელმწიფო პროგრამა „საქართველო-ევროპა“.

ღონისძიების ფარგლებში რომის კინოს სახლში (Casa del Cinema) ნაჩვენები იქნება შემდეგი ქართული ფილმები:

„მანდარინები“ (რეჟისორი ზაზა ურუშაძე);
„ცისფერი მთები“ (რეჟისორი ელდარ შენგელაია);
„ნატვრის ხე“ (რეჟისორი თენგიზ აბულაძე);
„შემთხვევითი პაემნები“ (რეჟისორი ლევან კოლუაშვილი);
„ჩემი ბებია“ (რეჟისორი კოტე მიქაბერიძე).

16 ივნისს ღონისძიება გაიხსნება კონცერტით, სადაც ქართველი მუსიკოსები შეასრულებენ ცნობილ ნაწარმოებებს ქართული კინოფილმებიდან, 18 ივნისს კი კოტე მიქაბერიძის ფილმს „ჩემი ბებია“ მუსიკალურ თანხლებას გაუწევს რეზო კიკნაძის ტრიო.

კინოპროგრამის გარდა, რომში ასევე მოეწყობა ქართული კინოპოსტერების, ისტორიული ფოტომასალისა და წერილების გამოფენა, რომელიც დაკავშირებულია ქართველი და იტალიელი კინემატოგრაფისტების მეგობრობასთან.

ძველი საკერავი მანქანებით შექმნილი მინიატიურული ავტომობილები

ვაჟა ხაჩიურმა ძელი საკერავი მანქანებისგან ახალი მინიატიურული ავტომობლები დაამზადა. სოციალურ ქსელში ხვიჩა სამადაშვილმა ვიდეო გაავრცელა, სადაც ხაჩიურის მიერ გამოუსადეგარი საკერავი მანქანებით შექმნილი ახალი მინიატიურული ავტომობილების ფორმები აჩვენა. ათეულობით ავტომობილი მრავალი საუკუნე იარსებებს, ძველ საკერავ მანქანებს კი ახალი სიცოცხლე ხვდათ წილად.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7389; ევრო - 3.0914;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4716;
100 რუბლი - 4.2402; თურქული ლირა - 0.4687;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6110;
1000 სომხური დრამი - 5.7180.

ამინდი 15 ივნისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +16, დღე +35
მთიანი რაიონები - ღამე +10, დღე +30
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +34
მთიანი რაიონები - ღამე +12, დღე +33
თბილისი: ღამე +21, დღე +33

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge